ახალი განათლება

28 აპრილი - 11 მაისი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№17 (731) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

როგორ ვასწავლით ქართულ ლიტერატურას

გთავაზობთ მაია ბარნაველის მოსაზრებას სასკოლო სახელმძღვანელოს შესახებ

გვერდი 6

სოფელში სულ სხვა „გემო“ აქვს მასწავლებლობას

რუბრიკის „პროფესია პედაგოგი“ სტუმარია
ირმა ჯაშიაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის
ვარდისუბნის საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გვ. 4

შიდა დაკვირვება მასწავლებლის შეფასების არსებითი და აუცილებელი ნაწილი

გვესაუბრება უწყვეტი პროფესიული განათლებისა და კარიერული წინსვლის პროგრამის ხელმძღვანელი ირინა სამსონია

გვერდი 3



გვ. 2

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

ბიზნესის მართვის კათედრა

➢ 1 ასოცირებული პროფესორი

სამართლის ფაკულტეტი

საჯარო სამართლის კათედრა

➢ 1 ასოცირებული პროფესორი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

➢ 3 ასოცირებული პროფესორი

საბუთების მიღება იწარმოებს:

2016 წლის 30 მაისიდან 2016 წლის 10 ივნისამდე, ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება 2016 წლის 22 ივნისს. კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2016 წლის 28 ივნისს.

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე – www. gttu.edu.ge ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე: 2 66 15 12; 2 24 65 91

ინფორმაცია

ქართველი გამომგონებლები ნასას კენედის კოსმოსურ ცენტრში

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსში – Millennium Innovations Award გამარჯვებულმა გუნდმა „სოლარი“ (გუნდის წევრები: **გიორგი მარგიანი, ბექა მიქაძე, გიორგი ნიორაძე** და **ვახტანგ კონტრიძე**), ნასას კენედის კოსმოსურ ცენტრში, აშშ-ს კონრადის ფონდის მიერ ორგანიზებულ ინოვაციების სამიტში მიიღო მონაწილეობა.

ოთხი ახალგაზრდა ქართველი ჟიურის წინაშე ინოვაციური პროექტით წარდგა. ოთხთვიანმა თავდაუზოგავმა შრომამ და გუნდის თითოეული წევრის მონდომებამ შედეგი გამოიღო და ბიჭების იდეამ, მზის ენერგიის ეფექტურად გამოყენების შესახებ, ჟიურის მოწონება დაიმსახურა. პროექტზე მუშაობისას მათ ბევრი წარუმატებელი ექსპერიმენტი და სირთულე შეხვდათ. სამუშაო პროცესში აქტიურად მონაწილეობდა ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი **თეიმურაზ ჩიჩუა**, რომელიც ახალგაზრდებს თეორიულ ცოდნასა და საკუთარ გამოცდილებას უზიარებდა.

„ბევრი ბავშვისთვისაა საოცნებო NASA-ში მოხვედრა, თუმცა სამწუხაროდ, ძალიან ცოტას ეძლევა ამის შანსი. მიხარია, რომ ჩემი გუნდის წევრებთან ერთად, მე ეს შევძელი,“ – განაცხადა გიორგი მარგიანმა.



ბავშვთა უფლებები

ყველა ბავშვი ოჯახში

ლალი ჯელაძე

გაიმართა კამპანიის ,,ყველა ბავშვი ოჯახში“ პრეზენტაცია, რომელსაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო** დაესწრო.

კამპანიის მიზანია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებით, ასევე იმ სერვისების, პროგრამების გაცნობა, რომელსაც სახელმწიფო პარტნიორ, ადგილობრივ და საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან ერთად, ახორციელებს ბავშვების ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველსაყოფად, რაც დიდი ზომის ბავშვთა სახლებში არ არსებობდა.

შესაბამისად, სახელმწიფომ უარი თქვა დიდი ზომის ბავშვთა სახლებზე. ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის მიზანია მშობელთა მზრუნველობას მოკლებული, სოციალურად დაუცველი, ძალადობის მსხვერპლი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, მიუსაფარი ბავშვების სრულფასოვანი განვითარებისათვის უკეთესი სოციალური და უფლებრივი პირობების შექმნა. მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს დეინსტიტუციონალიზაცია, რაც გულისხმობს: დიდი ზომის სააღმზრდელო დაწესებულებებიდან ბავშვების დაბრუნებას საკუთარ ოჯახებში ან გადაყვანას ოჯახთან მიახლოებულ გარემოში, ბავშვთა სახლების ეტაპობრივ ჩანაცვლებას ალტერნატიული სერვისებით, როგორიცაა: რეინტეგრაცია (ბავშვის დაბრუნება ბიოლოგიურ ოჯახში და ოჯახის გაძლიერება), მინდობით აღზრდა (სახელმწიფოსა და სპეციალურად შერჩეულ მინდობილ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა); მცირე საოჯახო ტიპის სახლები.

ბავშვზე ზრუნვის რეფორმის ფარგლებში, ბავშვების 52 პროცენტი საკუთარ ოჯახს დაუბრუნდა, 400-მდე ბავშვი მცირე საოჯახო ტიპის სახლში ცხოვრობს; მინდობით აღზრდაშია 1262 , ხოლო სახელმწიფო მზურნველობაში – 1800-მდე აღსაზრდელი; საერთო ჯამში დაიხურა 47 დიდი ზომის ბავშვთა სახლი, რომლებიც მცირე ზომის ბავშვთა სახლებით ჩანაცვლდა.

საინფორმაციო კამპანიის წარმოებაში აქტიურად არიან ჩართული საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სექტორი და საქართველოს საპატრიარქო.

ნიკოლოზ ხუნძაყიშვილი, „ნატახტარის“ კორპორაციულ საქმეთა დირექტორი: *„ეს პროექტი ითვალისწინებს იმ ტრენდის გაგრძელებას, რომელიც მსოფლიოში ხორციელდება – დიდი ზომის ბავშვთა სახლები აღარ უნდა არსებობდეს და ბავშვი ოჯახთან მიახლოებულ გარემოში უნდა იზრდებოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უარი თქვა დიდი ზომის ბავშვთა სახლებზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კერძო სექტორის ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია.*

კომპანია „ნატახტარის“ მხარდაჭერით ჩატარდა მოსახლეობის გამოკითხვა. გამოკითხულებს ძალიან მარტივ კითხვაზე უნდა გაეცათ პასუხი – არის თუ არა ცნობილი საქართველოში ეს პრობლემა? აღმოჩნდა, რომ, გამოკითხულთა აზრით, საქართველოში ძალიან ბევრი უსახლკარო და მიუსაფარი ბავშვია, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. შესაბამისად, ამ მიმართულებით ძალიან ბევრი საქმეა გასაკეთებელი და ჩვენი პრიორიტეტია ხალხმა სწორად დაინახოს პრობლემა და ამ მიმართულებით უკვე არსებული მიღწევები“.

კამპანიის დაწყებამდე, ჩატარებული გამოკითხვით, როგორც ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, მართლაც გამოიკვეთა, რომ მზრუნველობამოკლებული მოზარდებისა და ბავშვების და მათთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ, საზოგადოება სათანადოდ ინფორმირებული არ არის. მათ ამ კუთხით გაზვიადებულად უარყოფითი წარმოდგენა აქვთ. სწორედ აქედან გამომდინარე, დაიწყო სამინისტრომ კამპანია „ყველა ბავშვი ოჯახში“, რომელიც უმთავრესად მზრუნველობამოკლებული ბავშვებისა და მოზარდების საკითხის აქტუალიზაციასა და ინფორმირებულობის დონის ამაღლებას ემსახურება. კამპანიის ფარგლებში, მედიასემინარებიც იგეგმება, რაც, თავისთავად, ხელს შეუწყობს პროექტის მიმდინარეობის სათანადო გაშუქებას. ასევე, იგეგმება სოციალური მედიაკამპანია, საჯარო მოხელეების ინფორმირება, დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები, 1 ივნისის საქველმოქმედო ღონისძიება და ა.შ.

„ბავშვზე ზრუნვის მსოფლიო სტრატეგიაში, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, გამოიკვეთა ტენდენცია, რომელიც დიდი ზომის ბავშვთა სახლების ოჯახურ პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ მცირე ზომის ბავშვთა სახლებით ჩანაცვლებას გულისხმობს. მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტსაც დეინსტიტუციონალიზაცია წარმოადგენს, რაც დიდი ზომის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების დახურვას გულისხმობს. ბავშვები უნდა დავაბრუნოთ საკუთარ ოჯახში ან გადავიყვანოთ ოჯახთან მიახლოებულ გარემოში. დღევანდელი შეკრება კი საზოგადოებისთვის კიდევ ერთი წინგადადგმული დიდი ნაბიჯის – სამომავლო გეგმების წარდგენაა.“ – განაცხადა დავით სერგეენკომ.

რეფორმის მთავარი მონაპოვარია, რომ სახელმწიფომ უარი თქვა დიდი ზომის ბავშვთა სახლებზე. ფაქტობრივად, დაიხურა ყველა დიდი ზომის ინსტიტუცია და ბაშვების 52 პროცენტი დაუბრუნდა ოჯახს; სახელმწიფო მზურნველობის ქვეშ მყოფი ბავშვები და მოზარდები სათანადო სერვისს იღებენ: მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, ფოსტერ ოჯახებში და დღის ცენტრებში. თუმცა, ამ ძირითად გზავნილთა სიაში მაინც რჩება პრობლემად: ერთი – მზუნველობამოკლებული ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან მზად დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის და მეორე – ყველაზე მწვავე პრობლემა – ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები და მოზარდები.

იმედია, ჯანდაცვის სამინისტროს ახლად წამოწყებული კამპანია „ყველა ბავშვი ოჯახში“ სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერებას აამაღლებს და რეფორმის წარმატებით დასრულებას შეუწყობს ხელს.

პროფესიული განვითარება

შიდა დაკვირვება
მასწავლებლის შეფასების არსებითი და აუცილებელი ნაწილი

შიდა საგაკვეთილო დაკვირვება, ახალი სქემით, კრედიტქულებით შესაფასებელი ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობაა, რომელიც გაკვეთილის შეფასების სტანდარტიზებულ რუბრიკაზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს. რა ძირითად პრინციპებს ეყრდნობა შიდა დაკვირვება და როგორ უნდა წარიმართოს პროცესი, ამის შესახებ გვესაუბრება უწყვეტი პროფესიული განათლებისა და კარიერული წინსვლის პროგრამის ხელმძღვანელი ირინა სამსონია.

– რას ნიშნავს შიდა საგაკვეთილო დაკვირვება და რით განსხვავდება ეს პროცესი გარე დაკვირვებისგან?

– მასწავლებლის შეფასების ახალი სისტემის დანერგვის მიზეზი ის გახდა, რომ სერტიფიცირების არსებული სისტემა არ იყო სრულყოფილი, რეალურად არ ასახავდა მასწავლებლის პრაქტიკას. შეფასების ტესტირების ფორმატით, მისი კომპეტენციების მხოლოდ ზოგადი ნაწილი – პროფესიული უნარები და საგნობრივი ცოდნა – ფასდებოდა, რეალურად კი სასწავლო პრაქტიკასა და პროცესს მთლიანად მოწყვეტილი იყო. ამის გამო აუცილებელი გახდა მასწავლებლის შეფასების სისტემის შეცვლა, უნდა წარმოჩენილიყო მასწავლებლის მიერ პრაქტიკაში განხორციელებული კომპეტენციები, როგორ ახდენდა საკუთარი გამოცდილების, ცოდნისა და პროფესიული კომპეტენციების რეალიზებას რეალურ სასწავლო გარემოში. აი, ეს იყო ამ ცვლილების მთავარი არსი.

სწორედ ამიტომ შემოვიტანეთ გაკვეთილის შეფასების კომპონენტიც, როგორც შეფასების არსებითი და აუცილებელი ნაწილი. გარე საგაკვეთილო დაკვირვების დანიშნულება, თავისთავად, განსხვავდება შიდა დაკვირვებისგან. მისი მიზანია განსაზღვროს: რამდენად შეესაბამება მასწავლებლის პრაქტიკა სახელმწიფოს მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს, ატარებს თუ არა იგი კარგ გაკვეთილს, როგორ იყენებს ცოდნასა და პროფესიულ უნარებს სასწავლო პროცესში.

გარე დაკვირვებას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს და მას უფროსი მასწავლებელი, სტატუსით განსაზღვრულ ვადაში, ერთხელ გაივლის სტატუსის შესანარჩუნებლად. წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად კი მან დამატებით კიდევ ერთხელ უნდა გაიაროს გარე დაკვირვება.

მასწავლებელი გაკვეთილს საკლასო ოთახში ატარებს, რომელშიც დამონტაჟებულია ვიდეოკამერა. ამ გაკვეთილის გეგმას წინასწარ აწვდის შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს; გაკვეთილის შერჩევაში მასწავლებელს სრული თავისუფლება ენიჭება, ანუ ის თავად იღებს გადაწყვეტილებას, რომელ გაკვეთილს ატვირთავს სპეციალურად გამოყოფილ ინტერნეტსივრცეში. ვიდეოგაკვეთილს წინასწარ შერჩეული და გადამზადებული კომისიის წევრები – საგნის სპეციალისტები და განათლების ექსპერტები – შეაფასებენ.

რაც შეეხება შიდა საგაკვეთილო დაკვირვებას, გარე საგაკვეთილო დაკვირვებისაგან განსხვავებით, მისი უმთავრესი მიზანია, განმავითარებელი კომენტარების საშუალებით, მასწავლებელს საგაკვეთილო პროცესის გაუმჯობესებაში დაეხმაროს. შეფასების ჯგუფის მიერ განხორციელებული დაკვირვების ძირითადი ფუნქცია არ არის მასწავლებლის განსჯა, უმთავრესია, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთშეფასების გზით, მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ზოგადად სკოლის განვითარება. სკოლა, როგორც ინსტიტუცია, პასუხისმგებელი ხდება ხარისხის განვითარებაზე – რა მოთხოვნები აქვს მას საკუთარი პედაგოგების მიმართ, რამდენად მაღალია მისი პასუხისმგებლობა და რამდენად უწყობს ხელს პედაგოგს პროფესიულ ზრდაში.

შიდა დაკვირვების პროცესში ერთმანეთს შერწყმულია ორი თანაბრად მნიშვნელოვანი მიზანი – მასწავლებლის პროფესიული განვითარება და მისი შეფასება, რაც გამოიხატება კრედიტქულებში და რაც განსაზღვრავს მის კარიერულ ზრდას – პედაგოგი ან ინარჩუნებს არსებულ სტატუსს ან შემდეგ საფეხურზე გადადის.

ამიტომ, ვიტყოდი, რომ შიდა დაკვირვება საკმაოდ საპასუხისმგებლო და არაერთმნიშვნელოვანი კომპონენტია. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები სტანდარტიზებული რუბრიკით შეფასდებიან, ძირითადი პასუხისმგებლობა მაინც სკოლაზე გადადის, რადგან სკოლა გეგმავს და იყენებს ამ სტანდარტიზებულ რუბრიკას და სრულად მასზეა დამოკიდებული, რამდენად მოქნილად და ადეკვატურად გამოიყენებს იგი ამ ინსტრუმენტს.

– როგორ უნდა შეფასდეს ერთი საგაკვეთილო პროცესი?

– მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორი ხელმძღვანელობს, წლის დასაწყისში ადგენს გაკვეთილებზე დაკვირვების გრაფიკს, რომელსაც მასწავლებლებთან ათანხმებს. ცხადია, მასწავლებელს აქვს უფლება ამ განრიგში ცვლილება შეიტანოს. შეფასების ჯგუფი საკუთარი კოლეგის მიმართ არ არის ჩასაფრებულ პოზიციაში, არც მოულოდნელად აცხრება თავს გაკვეთილზე, ამდენად მოულოდნელობის ეფექტი მთლიანად მოხსნილია. შეფასების პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ გაკვეთილზე დასწრებით, იგი მოიცავს რამდენიმე ეტაპს. ყველა ეტაპი და ნაბიჯი ურთიერთშეთანხმებულია.

მასწავლებელი შესაფასებელი გაკვეთილის თემასა და ტიპს, რა თქმა უნდა, თვითონ შეარჩევს, დაგეგმავს და ჩატარებამდე ერთი კვირის განმავლობაში წარუდგენს შეფასების ჯგუფს. ამ მოკლე შეხვედრას გასაუბრების ფორმა აქვს, რომელიც გაკვეთილის მნიშვნელოვანი კომპონენტების განხილვას ეთმობა. ეს საინტერესო და საჭიროა იმ თვალსაზრისითაც, რომ შეფასების ჯგუფის წევრები მზად იყვნენ და მათთვის მოულოდნელი არ იყოს გაკვეთილის მსვლელობა – კარგად დაინახონ, რა შეძლო ან რა ვერ განახორციელა მასწავლებელმა, რატომ გადაუხვია გეგმიდან და ა.შ. ეს ეხმარება შემფასებლებს გაკვეთილის სრულფასოვნად აღქმასა და ადეკვატურად შეფასებაში. ამ შეხვედრის შედეგად ხდება შეთანხმება. შესაძლოა, შეფასების ჯგუფმა მასწავლებელს შენიშვნებიც მისცეს, მაგ., ურჩიოს, შეცვალოს გაკვეთილის თემა ან კორექტივები შეიტანოს საგაკვეთილო გეგმაში, უფრო დახვეწოს იგი და ა.შ. შესაფასებელი გაკვეთილის გეგმა საბოლოო სახით ელექტრონულ სისტემაში იტვირთება.

ამის შემდეგ გაკვეთილს ესწრება შეფასების ჯგუფი, რომელიც არანაკლებ 3 წევრითაა წარმოდგენილი.

ძალიან საინტერესო დეტალია ისიც, რომ გაკვეთილის ჩატარების შემდეგ, ერთი კვირის ვადაში, მასწავლებელი ავსებს თვითრეფლექსიის კითხვარს, რომლის მოდელს ჩვენ შევთავაზებთ. თვითრეფლექსია საშუალებას აძლევს მასწავლებელს, თავად გააანალიზოს საკუთარი გაკვეთილი და გამოიტანოს სათანადო დასკვნები – რითია კმაყოფილი, რა არ მოეწონა, რა შეძლო, რას ვერ გაართვა თავი, რას გამოასწორებდა და ა.შ. ეს შიდა დაკვირვების პროცესის ერთ-ერთი სავალდებულო ნაწილია. თვითრეფლექსიის ფორმაც იტვირთება ელექტრონულ სისტემაში.

გაკვეთილზე დასწრების შემდეგ, დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, ინიშნება შეხვედრა, რომლის მიზანია, შეფასების ჯგუფის მიერ გაკვეთილის შეფასებისა და მასწავლებლის თვითრეფლექსიის ერთმანეთთან შეჯერება, განხილვა და განმავითარებელი შეფასების მიწოდება მასწავლებლისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს შეხვედრა თანამშრომლობით გარემოში წარიმართოს და კონსტრუქციულ ხასიათს ატარებდეს. სწორედ ამიტომ, მასწავლებლისა და შეფასების ჯგუფის ურთიერთობა ისეა დაგეგმილი, რომ მათ შორის ყოველ ეტაპზე შედგეს კომუნიკაცია, შეეძლოთ ყველაფერზე საუბარი, მსჯელობა, პოზიციების შეჯერება.

შეხვედრაზე შეფასების ჯგუფი მასწავლებელს განმავითარებულ შეფასებას აძლევს. თუ მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილი შეფასების ჯგუფმა დადებითად შეაფასა, მას 2 კრედიტქულა მიენიჭება.

– თუ მასწავლებლის მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, რა ხდება ამ შემთხვევაში? რამდენჯერ ან დროის რა შუალედში შეუძლია თავიდან სცადოს?

– თუ მასწავლებლის გაკვეთილი დადებითად არ შეფასდა, მაშინ ურთიერთთანამშრომლობისა და დახმარების მექანიზმი ირთვება. შეფასების ჯგუფი მას აწვდის დეტალურ განმავითარებელ შეფასებას და მიუთითებს გაკვეთილის ხარვეზებზე, რა ძირითადი და მნიშვნელოვანი მოთხოვნები დაირღვა და რა ვერ შესრულდა სათანადოდ. ამის შემდეგ ფასილიტატორი მასწავლებელთან კონკრეტული პრობლემების დასაძლევად მუშაობს. მას ეძლევა შანსი, დაახლოებით სამი თვის განმავლობაში, განმეორებით გაიაროს შიდა საგაკვეთილო დაკვირვება. შემდეგ მცდელობაზე გამომჟღავნდება, იმუშავა თუ არა საკუთარ თავზე მასწავლებელმა და გამოასწორა თუ არა აღმოჩენილი ხარვეზები. რეალურად, ფასდება პროგრესი. მაგალითად, ძალიან სერიოზული დარღვევაა გაკვეთილის მიზანსა და განხორციელებულ აქტივობებს შორის შეუსაბამობა – აცდენა იმდენად სერიოზული ხარვეზია, რომ ცხადია, ამ დროს მასწავლებელი კრედიტქულას არ იმსახურებს. მიღებული განმავითარებელი შეფასებისა და რეკომენდაციების მიუხედავად, თუ მასწავლებელმა ვერ შეძლო ამ პრობლემის აღმოფხვრა და შემდეგ მცდელობაზეც იმავე ტიპის ხარვეზები გამოვლინდა მის გაკვეთილზე, შეფასების ჯგუფს, ბუნებრივია, შეუძლია, არ მიანიჭოს მას კრედიტქულა. ამ შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ მასწავლებელმა ვერ გაიარა შიდა საგაკვეთილო დაკვირვება.

– შიდა დაკვირვების რუბრიკა უფრო მეტად რომელ კომპონენტს უმოწმებს მასწავლებელს – რას ასწავლის თუ როგორ ასწავლის?

– ცხადია, რუბრიკით საგნობრივი კომპეტენციებიც მოწმდება, კრიტერიუმების ჩამონათვალში ერთ-ერთი სწორედ საგნობრივი კომპეტენციაა. ამიტომაც არის შეფასების ჯგუფში საგნობრივი კათედრის წარმომადგენელი. თუმცა, ძნელია ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, თუ რა იქნება დომინანტი – მეთოდიკის თუ საგნობრივი კომპეტენციების შემოწმება, ეს სკოლის გადასაწყვეტია და საგნობრივ ხარვეზებსაც გააჩნია. ჩემი აზრით, უმთავრესი მაინც ისაა, თუ როგორ ასწავლის მასწავლებელი მოსწავლეს, როგორ იყენებს პრაქტიკაში თეორიულ ცოდნას.

– რეალურად როდის დაიწყება შიდა საგაკვეთილო დაკვირვება?

– მოგეხსენებათ, გაკვეთილის შეფასების სტანდარტიზებულ რუბრიკაზე მუშაობს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ჩვენც შიდა დაკვირვებისას სწორედ ამ რუბრიკას უნდა დავეყრდნოთ. სავარაუდოდ, რუბრიკის საბოლოო ვარიანტი მაისის ბოლოს გვექნება და შესაბამისად, ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი შიდა საგაკვეთილო დაკვირვების პროცესის დაწყება. რა თქმა უნდა, ჩვენი საფიქრალი და საზრუნავი ამ რუბრიკის გამოყენებაში შეფასების ჯგუფების გადამზადებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესი დროულად ვერ დაიწყება და მასწავლებელთა უკმაყოფილებაც ამასთან დაკავშირებით ლეგიტიმური იქნება.

– შეიცვლება თუ არა რამე შიდა საგაკვეთილო დაკვირვების თქვენ მიერ აღწერილ პროცესში პილოტირების შემდეგ?

– მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი მაღალი დონის ექსპერტთან, მარკ ატკინსონთან ერთად გავიარეთ ყველა დეტალი. შემდეგ, ამ შეხვედრების საფუძველზე, გავწერეთ მთელი პროცედურა. სხვათა შორის, დირექტორებსაც წარვუდგინეთ განათლების მართვის კონფერენციაზე, როგორც ვერსია. შემდეგ გზამკვლევშიც ავსახეთ. ჯერჯერობით ჩვენ მიერ შეთავაზებულ ფორმაზე არავის მხრიდან არანაირი წინააღმდეგობა არ შეგვხვედრია, მათ შორის არც განათლების სამინისტროსგან.

შესაძლოა, ვინმეს რთულად მოეჩვენოს ჩემ მიერ აღწერილი შიდა დაკვირვების პროცესი, მაგრამ მთავარი მიზეზი, თუ რატომ ავირჩიეთ ეს გზა ის არის, რომ რაც შეიძლება გამჭვირვალე და ურთიერთანამშრომლობის პრინციპზე დაფუძნებული და, რაც მთავარია, პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული პროცესი მიგვეღო. არც ერთ შემთხვევაში, საგაკვეთილო დაკვირვება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ შეფასების ჯგუფის გაკვეთილზე შესვლით და შემდეგ კრედიტქულის მინიჭებით.

– დაბოლოს, ვისთვისაა სავალდებულო შიდა საგაკვეთილო დაკვირვება და რამდენი კრედიტ-ქულით ფასდება?

– შიდა საგაკვეთილო დაკვირვება სავალდებულო აქტივობაა პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის, ასევე უფროსი მასწავლებლისთვის როგორც სტატუსის შესანარჩუნებლად, ისე შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად. თითო საგაკვეთილო დაკვირვება 2 კრედიტქულით ფასდება. პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისაღწევად აუცილებელია 2 შიდა საგაკვეთილო დაკვირვების გავლა. უფროსი მასწავლებელის სტატუსის შესანარჩუნებლად, შიდა დაკვირვებით, 4 კრედიტქულის დაგროვებაა საჭირო, ხოლო წამყვანი მასწავლებლის საფეხურზე გადასასვლელად – კიდევ ერთი შიდა საგაკვეთილო დაკვირვების გავლა, შესაბამისად, უფროსმა მასწავლებელმა, სხვა სავალდებულო აქტივობებთან ერთად, 4 წლის განმავლობაში, 3 შიდა საგაკვეთილო დაკვირება უნდა გაიაროს, რითაც 6 კრედიტქულას მოიპოვებს.

ესაუბრა
ლალი ჯელაძე

ПРОФЕСИА ПЕДАГОГИ

სოფელში სულ სხვა „გემო“ აქვს მასწავლებლობას

რუბრიკის სტუმარია ირმა ჯაშიაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის ვარდისუბნის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

– ირლანდიელი დრამატურგის, ბერნარდ შოუს მოსაზრება: „ვისაც საქმის კეთება შეუძლია, აკეთებს, ვისაც არა, ასწავლის!“ – ერთი მხრივ, მასწავლებლის პროფესიის არაპოპულარობაზე მიუთითებს, მეორე მხრივ კი, მასწავლებლობის მსურველთა ნაკლებობა ამყარებს ხსენებულ მითს. მასწავლებლობის მსურველი თანამედროვე ახალგაზრდებს შორის არც ისე ბევრია. რას ნიშნავს თქვენთვის პროფესია მასწავლებელი?

– ეს ის შემთხვევაა, როცა ბერნარდ შოუს ვერ დავეთანხმები, ვისაც საქმის კეთება შეუძლია, მასაც ჰყავდა მასწავლებელი, აუცილებლად. ბოლოს და ბოლოს, ცხოვრება სულ გვასწავლის და მასწავლებლის როლში გვევლინება.

ვფიქრობ, დაბალი ანაზღაურება ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ პროფესიის ნაკლებ პოპულარობაში. თუმც, დაიწყო კარგი ცვლილებები, რაც, იმედია, ცოტა ხანში დამოკიდებულებას შეცვლის და ბევრი ახალგაზრდა დაინტერესდება ამ პროფესიით.

მასწავლებლების ოჯახში გავიზარდე, დედა დღემდე მასწავლებელია. მამა ისტორიკოსია, მაგრამ პროფესიით დიდი ხანია არ უმუშავია. ჩემი პროფესიული არჩევანი შემთხვევითობამ განაპირობა, ბავშვობაში ჟურნალისტობაზე ვოცნებობდი. თელავის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტი არ იყო და ფილოლოგიურზე ჩავაბარე. მერე ჟურნალისტობის სურვილმაც „გამიარა“. მოგვიანებით, მაგისტრატურა თბილისში, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში დავამთავრე. სკოლაშიც დროებით დავიწყე მუშაობა და როგორც ხდება ხოლმე – დავრჩი. აი, მსახიობებისგან გამიგია ასეთი გამოთქმა, სცენის მტვერი თუ ჩაყლაპაო, ასეა მასწავლებლობაც. ყოველდღიურად ვპოულობ საკუთარ თავში იმ ძაფებს, რაც მაიძულებს მიყვარდეს ეს პროფესია.

– დამეთანხმებით, ალბათ, რომ მხოლოდ საგნის ცოდნა ეფექტურ სწავლებას ვერ უზრუნველყოფს. მოსწავლეთა დინტერესება და მოტივირება, მათში ცნობისმოყვარეობის გაღვიძება, სასწავლო პროცესში თანაბრად ჩართვა, ობიექტურად შეფასება... ის უნარ-ჩვევებია, რომლებიც მხოლოდ გარკვეული მომზადებისა და პრაქტიკის მქონე მასწავლებელს აქვს. მასწავლებლის პროფესია მუდმივ პროფესიულ განვითარებას, ლიცენზიის, მასწავლებლის სერტიფიკატის რეგულარულ განახლებასა და ფსიქოლოგიის საფუძვლების ცოდნას მოითხოვს. რამდენად ახერხებთ პროფესიულ განვითარებას?

– სულ ძიებაში ვარ და სულ უკმაყოფილო საკუთარი თავით. ისეთი თაობა მოდის, განვითარებული, საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობა და წვდომა კარგად შეუძლიათ, მასწავლებელმა თუ გამოწვევებს და სიახლეებს ფეხი არ აუწყო, დაკარგავს ყველაზე მთავარს – მოსწავლის ნდობას და პატივისცემას.

ვარ უფროსი მასწავლებელი და ფასილიტატორი, რაც, დამეთანხმებით, დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. პროფესიაში მუდამ წინ უნდა იყურებოდე, დროს არ უნდა ჩამორჩე.

– რამდენად გრჩებათ თავისუფალი დრო და როგორ იყენებთ მას?

– თუ კარგად გადავანაწილებ, თავისუფალი დრო ყოველთვის მრჩება. იმდენი სიახლეა პროფესიული კუთხით, რომ ყოველდღიურად ვკითხულობ სტატიებს, ვეცნობი სხვა მასწავლებლების ნამუშევრებს და წერილებს. ახალი ჰობიც მაქვს – მიყვარს ფეხით სეირნობა და ფოტოების გადაღება.

– არაერთი სოციოლოგიური კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ მოსწავლის წარმატებაზე, აკადემიურ მოსწრებასა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პედაგოგს. როგორ ფიქრობთ, მასწავლებლისგან მეტისმეტსაც ხომ არ ელის საზოგადოება?

– მასწავლებელს დიდი გავლენა აქვს მოსწავლეზე, თუმც მშობლის როლი უმნიშვნელოვანესია. როცა მასწავლებელი თავისი საქმის პროფესიონალია, ეს ერთგვარად მისაბაძია მოსწავლეთათვის. მასწავლებლის პიროვნული თვისებებიც დიდ როლს თამაშობს. კარგ პედაგოგს უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია მოსწავლის პიროვნულ ჩამოყალიბებაში. მე მყავდა ასეთი მასწავლებელი და სულ მგონია, რომ თუ რამ კარგია ჩემში, მისი დამსახურებაა.

– თქვენ მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ მოსწავლის წერილს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. დამეთანხმებით ალბათ, არამოტივირებულ მოსწავლეებთან მუშაობისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოთმინებისა და შემოქმედებითი უნარის გამოჩენა. ამისთვის მხოლოდ პროფესიონალიზმი, საგნის ცოდნა საკმარისი არ არის. „სოფელში სულ სხვა „გემო“ აქვს მასწავლებლობას“ – ამბობთ თქვენ. რას გულისხმობთ?

– სოფლის სკოლაში სოციალური პრობლემები ძალიან გამჭვირვალეა. ამ დროს ხვდები, გაკვეთილის გარდა, კიდევ არის რაღაც ძალიან სათუთი მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაში. სოფელში მასწავლებლობის „გემოს“ შეგრძნებაც ნელ-ნელა მოვიდა. ეს „გემო“ ძალიან ტკბილი და მშობლიური აღმოჩნდა ჩემთვის. ამ წერილს დადებითი გამოხმაურებაც და კრიტიკაც მოჰყვა, გულწრფელად გამაოცა ამ კრიტიკამ. მწერდნენ, რომ გამემხილა ბავშვის ვინაობა. ყველა ვთანხმდებით, რომ ბავშვს არ უნდა უწევდეს მისი ასაკისთვის შეუფერებელი სამუშაოს შესრულება, მაგრამ ესაა ჩვენი რეალობა. სამწუხაროა, თუ ჩემი მოსწავლის წერილით გაიგო საზოგადოებამ, რომ სოფლად ბავშვებს ბევრი სამუშაოს შესრულება უწევთ. ჩემი პრაქტიკიდან შემიძლია ვთქვა, რომ სწორად დაგეგმილი გაკვეთილი, თავისი მრავალფეროვანი აქტივობებით, ყველა მოსწავლეში აღვიძებს მოტივაციას. არამოტივირებული მოსწავლე არ არსებობს, მასწავლებელი ყველას მოუძებნის გასაღებს, თუ შემოქმედებითად მიუდგება. მე მოსწავლის შესაძლებლობებიდან ამოვდივარ და ეს ყოველთვის ამართლებს.

– ყველაზე ხშირად რას ასახელებენ არამოტივირებული მოსწავლეები მიზეზად?

– ბავშვები ათას მიზეზს იგონებენ და ლამაზად ფუთავენ სიზარმაცეს. ჩემმა პრაქტიკამ დამარწმუნა, რომ დიფერენცირებული, მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით მიცემული დავალებებით არამოტივირებული მოსწავლე მოტივირებულ მოსწავლედ ყალიბდება. უნდა აღვნიშნო, ეს მასწავლებლის დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

– ეთანხმებით მოსაზრებას, რომ მასწავლებლის პროფესია დაუფასებელი და ძალზე შრომატევადია?

– თუ მასწავლებელი იხარჯება თავის საქმეში, ამაზე დიდი შრომა არ არსებობს. აუცილებელია, სახელმწიფო აღიარებდეს და აფასებდეს პედაგოგის პროფესიას, რაც სათანადო ანაზღაურებითაც უნდა გამოიხატებოდეს. დღეს ჩვენი პროფესია არაა პრესტიჟული. ვფიქრობ, პედაგოგებთან ერთად, ამ პროფესიის პოპულარიზაციაზე საზოგადოებამაც უნდა იზრუნოს, რადგან მასწავლებელი ის ადამიანია, რომელიც მომავალ თაობას ზრდის. ყველაფერი კი აქედან იწყება.

– „ყველაზე ძვირფასი, რაც მასწავლებელს, როგორც აღმზრდელს, მოეპოვება, ესაა ავტორიტეტი, რომელსაც იგი მუდამ თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს“. როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ავტორიტეტი მოიპოვო და შეინარჩუნო?

– პროფესიონალიზმთან ერთად, დიდ როლს თამაშობს მასწავლებლის პიროვნული თვისებები. ბავშვი შენში მეგობარს, გულშემატკივარს უნდა ხედავდეს. ავტორიტეტს რამდენიმე თვისების ერთობლიობა ქმნის: უნდა გიყვარდეს საგანი, გიყვარდეს ბავშვები, გქონდეს ემპათიის უნარი, გრძნობდე მოსწავლეთა საჭიროებებს. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის მეგობრული ურთიერთობა ძლიერ გავლენას ახდენს ბავშვის პიროვნების განვითარებასა და სასწავლო პროცესზე. ვფიქრობ, XXI საუკუნის მასწავლებელს სერიოზული გამოწვევები აქვს. ფაქტია, ამ თაობამ გაგვასწრო, სხვანაირად აზროვნებენ, სხვანაირად ლაღები არიან. წინა თაობას ყოველთვის ახასიათებს ახალი თაობის კრიტიკა, კრიტიკის ნაცვლად, მათი მოსმენა და გაგება უნდა შევძლოთ.









ესაუბრა მაკა ყიფიანი

სასკოლო აქტივობა

ლიბერალურ პრინციპებზე დამყარებული ლიტერატურული ექსპერიმენტი

ანა ფირცხალაიშვილი

21 აპრილს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა – თბილისი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი ლიტერატორებს, განათლების ექსპერტებს, ხელოვნებათმოცდნეებს მასპინძლობდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სკოლა უკვე 15 წელია ფუნქციონირებს და ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლად ითვლება, მის შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდი. ამიტომაც მიიქცია ყურადღება პრესრელიზის ერთმა ფრაზამ „...ჩვენი მიზანია, უშუალოდ ცოცხალმა პროცესმა – „დიალოგმა“ წარმოაჩინოს ახალი საგანმანათლებლო მიდგომების გამოყენების აუცილებლობა თანამედროვე სასწავლო სივრცეში“. შეხვედრის თემაც ასეთი იყო „საგანმანათლებლო სიახლე და ექსპერიმენტალიზმი ბაქსვუდში“.

სკოლის აკადემიური დირექტორი **არჩილ სუმბაძე** ღონისძიების შესახებ ამბობს: *„ეს არის ლიტერატურული ექსპერიმენტი, რომელიც დამყარებულია ლიბერალური განათლების პრინციპებზე და ითვალისწინებს ლიტერატურული ტექსტების სწავლებას დიალოგური ფორმით. მოსწავლეები თავად ირჩევენ და კითხულობენ კონკრეტულ ტექსტებს (არამხოლოდ საპროგრამოს), ირჩევენ, მათი შეხედულებით, ყველაზე მნიშვნელოვან ადგილებს, ეძებენ პარალელებს ქართულ და უცხო ქვეყნების ლიტერატურაში, ასევე ხელოვნების სხვადასხვა სფეროში. ამის შემდეგ იწყება შერჩეული ტექსტის ანალიზი – მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს და ამგვარად, დიალოგის რეჟიმში, საუბრობენ ტექსტის ირგვლივ. ის, რაც დღეს აქ მოხდა, სწორედ ლიბერალური განათლების პრინციპზე აგებული სამოდელო გაკვეთილია და მისი ამ ფორმატით ჩატარების იდეა ქართულის მასწავლებელს, ნიკოლოზ ჩუბინიძეს ეკუთვნის“.*

იმ დღეს კი მოხდა ის, რომ IX-X კლასების მოსწავლეებმა: (**ვაჟა კლდიაშვილი**, **ლიზა ტაბლიაშვილი**, **ლუკა ზვიადაძე**, **ანზორ გოგობერიშვილი**, **ანა ობოლაშვილი**, **ელენე შონია**, **მარიამ ფრუიძე** და სხვ.), მოწვეულ სტუმრებს 6 სხვადასხვა ავტორის (ქართველი და უცხოელი) ნაწარმოებებიდან, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ამონარიდები შესთავაზა გასაანალიზებლად.

***

„სჯობს მცირე ხნით მაინც მოევლინო ცხოვრებას და შეიგრძნო მისი განსაკუთრებულობა, ვიდრე საერთოდ არ მოხვიდე ამქვეყნად. მართალია, ცხოვრება ბევრ ტკივილს მოგვაყენებს და სიმწარესაც განგვაცდევინებს, მაგრამ ტკივილისა და მარტოობის გარეშე, ალბათ ადამიანური ბედნიერების შეგრძნება და დაფასებაც გაგვიჭირდება. სიყვარული ის განცდაა, რომელსაც ადამიანი მხოლოდ დედამიწაზე ყოფნით შეიგრძნობს და მას პიროვნული სრულყოფილებისკენ სწრაფვაშიც დაეხმარება.“

„ფორთოხლის გოგონა“, იუსტაინ გორდერი

„განსხვავებულების ხვედრი აუცილებლად კრიტიკა და გარიყულობაა. ყველა, ვინც წყდება ჯაჭვს, რომელსაც ის ეკუთვნის და იწყებს ახლის ქსოვას, ყოველგვარი ტრადიციებისა და შეზღუდვების გარეშე, საზოგადოების მხრიდან დაცინვის ობიექტი ხდება. დოგმების დამცველი ბრბო გამორჩეულ ადამიანებს განვითარების საშუალებას არ აძლევს და ყალბი ფასეულობების დამკვიდრებისკენ მოუწოდებს. ადამიანები, რომლებიც თავისუფლებისთვის ყველაფერს თმობენ, იჩაგრებიან, განსაკუთრებით პირველი ნაბიჯების გადადგმის დროს, თუმცა მათი მოღვაწეობა უკვალოდ არასოდეს იკარგება. მათი ცხოვრება აფიქრებს თაობებს და ბოლოს არწმუნებს იმაშიც, რომ „ერთადერთი ჭეშმარიტი კანონი ისაა, რომელსაც თავისუფლებისკენ მივყავართ.“

„თოლია ჯონათან ლივინგსტონი“, რიჩარდ ბახი

„შიში ადამიანური ფენომენია. ჩვენ შიშის დაძლევით ვხდებით პიროვნებები. როგორც ამბობენ, სიკვიდილის შიში ამოძრავებს მთლიანობაში ცხოვრებას, ადამიანი კი უნდა ეცადოს, რომ ყოველი თავისი ქმედება დაუქვემდებაროს მოყვასის სიყვარულის პრინციპს. როცა პატივს სცემ საკუთარ თავს და ნაპოვნი გაქვს შინაგანი ძალა ცხოვრებასთან გამკლავებისა, ნაკლებად შეეცდები სხვების შიშით მანიპულირებას.“

„ანტონიო და დავითი“, ჯემალ ქარჩხაძე

„ადამიანებს შორის ურთიერთობა შეიძლება ანგარებას ეფუძნებოდეს და მიუხედავად ამისა, ამ ურთიერთობას მეგობრობა ერქვას.“

„თორმეტი სკამი“, ილფი და პეტროვი

***

ამონარიდები ნამდვილად იძლეოდა საფუძველს განსჯისა და კამათისათვის როგორც ლიტერატორისთვის, ისე განათლების ექსპერტისა და ხელოვნებათმცოდნისთვის. ასეც მოხდა, უდავოდ საინტერესო იყო მათი პასუხები და მოსაზრებები ყველა იმ კითხვაზე, რასაც მოსწავლეები ამონარიდებიდან გამომდინარე სვამდნენ. ისაუბრეს თავისუფლებაზე, სიყვარულზე, შიშით მანიპულირებაზე და სიკეთეზე, ეგვიპტური ხელოვნების სრულყოფილებასა და ლიტერატურის როლზე ადამიანში აზროვნების უნარის გამომუშავებაში. განათლების ექსპერტი **სიმონ ჯანაშია** გაკვეთილის ფორმას ჩაუღრმავდა და შეეცადა აეხსნა, რატომ არ არის „დიალოგი“ ის, რაც იქ ხდებოდა, თუმცა ვერც მოსწავლეები და ვერც უფროსები, პრინციპში, ვერ დაითანხმა. ზოგადად, შესამჩნევი იყო მოსწავლეთა მხრიდან ინერტულობა, ალბათ, მორიდებულობის გამოც, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა. *„ჯონათანი უნიკალური, ძლიერი „პიროვნებაა“. როცა დაფრინავ, ჩამოვარდები და ფრთას მოიტეხავ, მოვლენ შენი მშობლები, მეგობრები, მოგეფერებიან და გაგამხნევებენ, შენც ადვილად ახერხებ წამოდგომას, მაგრამ, როცა პირიქით ხდება – დაგცინიან იმისთვის, რომ ჩამოვარდი და დაეცი – ეს ძალიან რთულია. ამიტომ ჯონათანი, ბრძოლისუნარიანობისა და შინაგანი კულტურის გამო, ჩემთვის გმირია და მიმაჩნია, რომ ეს ნაწარმოები უნდა ისწავლებოდეს სკოლაში“* – ეს აზრი მოსწავლეს ეკუთვნის.

შეხვედრა 2 საათზე მეტხანს გაგრძელდა. სტუმრებიც დაიღალნენ და, სავარაუდოდ, მასპინძლებიც, ამიტომაც შეთანხმდნენ, რომ სამომავლოდ სჯობს ერთი თემა ან ერთი ნაწარმოები, თუნდაც რომელიმე პატარა მოთხრობა, აირჩიონ და სიღრმისეულად იმსჯელონ მის შესახებ, ვიდრე რამდენიმეზე – ზედაპირულად.

ბოლოს ქართულის პედაგოგმა **ნიკოლოზ ჩუბინიძემ** მიმართა შეხვედრის მონაწილეებს: *„მე დიალოგის, როგორც საგაკვეთილო ფორმის, მომხრე ვარ. მისი მიზანია, გავარკვიოთ რამდენად გესმით ერთმანეთის. გაგება ხშირადაა პრობლემა, მით უმეტეს რთულია ეს, როცა საქმე გვაქვს პოსტსაბჭოთა თაობასთან. ჩემი აზრით მოსწავლეებმა გამოთქვეს კრიტიკული მოსაზრებები, ტექნიკური თვალსაზრისით, ჯობდა ერთ კონკრეტულ თემაზე გვესაუბრა, თუმცა, ჩვენი მიზანი არ ყოფილა რომელიმე ლიტერატურული ტექსტის გამოწვლილვითი ანალიზი, მხოლოდ მის ირგვლივ საუბარი გვსურდა, რადგან ერთი და იგივე ტექსტი არა თუ სხვადასხვა თაობის, თითოეული მკითხველის მიერაც კი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით იკითხება. ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, შესაძლებელია თუ არა სასწავლო სივრცეში დიალოგი და რა უშლის ამას ხელს. მე პირადად, ვფიქრობ, როცა ვამბობთ, რომ გვჭირდება მოაზროვნე თაობა, ეს, გარკვეულწილად, სწორედ ამ ტიპის გაკვეთილებს გულისხმობს, აზროვნების გაკვეთილებს, ლიტერატურის ერთ-ერთი ფუნქციაც ეს მგონია“.*

ლევან ბრეგაძე: *„გეთანხმებით, ლიტერატურული ტექსტი დიდ საშუალებას იძლევა აზროვნების გასავითარებლად, მაგრამ, პირველ რიგში, აუცილებელია მისი კარგად შესწავლა. ტექსტის ავტორიტეტი შეუვალია. უმბერტო ეკოს აქვს ნათქვამი, ბიბლიოთეკა ღმერთის ადგილს დაიკავებსო. ეს ძალიან დამახასიათებელია მოდერნის ეპოქისთვის – ტექსტის გაღმერთება. ანალიზი კი, ნებისმიერ დონეზე, ავითარებს ჩვენი აზროვნების უნარს, რომ ვკითხულობთ, ესეც ტექსტზე მუშაობაა. კითხვის დროს გაითვალისწინეთ, რომ საქმე გაქვთ არაჩვეულებრივ მოვლენასთან, რომელიც შეგიძლიათ გააღმერთოთ, როგორმე მოახერხეთ მთლიანად შეხვიდეთ ტექსტში, კონგენიალური ანალიზიც მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი.*

რაც შეეხება ფორმატს, ძალიან მომწონს, კარგი მეთოდია. დიალოგი შედგა, რთული საკითხები იყო, პრობლემებით დატვირთული. მოსწავლეები მშვენიერი ქართულით საუბრობდნენ, რაც განსაკუთრებით მისასალმებელია. ჩემ დროს რომ მსგავსი შესაძლებლობა გვქონოდა, ბედნიერი ვიქნებოდი“.

რუსუდან ბერიძე: *„მოსწავლეები რომ ასე გამართულად გამოხატავენ საკუთარ აზრს და ასე საინტერესოდ საუბრობენ ლიტერატურული ტექსტების შესახებ, იმას ნიშნავს, რომ აქ ზრუნავენ მათი აზროვნების განვითარებაზე. ვფიქრობ, საინტერესო დიალოგი გამოვიდა, თუმცა, მეც იმ აზრის ვარ, რომ სჯობს ერთი თემა ავიღოთ, რომელზეც თქვენც იფიქრებთ, მოწვეული სტუმრებიც და მსჯელობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, შეხვედრისას, მის ირგვლივ გაიმართოს. მინდა ერთი რჩევაც მოგცეთ, კარგად ისწავლეთ მათემატიკა, რადგან ის ძალიან ამაღლებს აზროვნების დონეს. მათემატიკა რომ სვამს კითხვებს – რატომ და რისთვის – იმდენ კითხვებს არც ერთი საგანი არ სვამს. თქვენ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ისწავლით. გისურვებთ წარმატებებს.“*

გოგი ხოშტარია: *„ლიტერატურის გარეშე ვერ წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება, ვერ წარმომიდგენია, რა ვიქნებოდი იმ უზარმაზარი სამყაროს გარეშე, რაც ლიტერატურამ შემიქმნა. კითხვისას, ისევე როგორც ხელოვნების ნიმუშის ნახვისას, სიამოვნებას უნდა იღებდე – ანალიტიკურ მომენტთან ერთად სილამაზის დანახვისა და აღქმის უნარიც აუცილებელია. თქვენ მიერ მოხმობილი ამონარიდებისა და შეკითხვების მიხედვით შთაბეჭდილება შემექმნა თქვენი გემოვნებისა და აზროვნების შესახებ. ვფიქრობ, ამგვარი საუბრები ტრადიციად უნდა იქცეს, ეს უთუოდ წაადგება თქვენს შემდგომ განვითარებას.“*

პაატა პაპავა: *„მთავარია, თქვენ რამდენად ისიამოვნეთ დღევანდელი შეხვედრით, რა სარგებელი მიიღეთ, თორემ ჩემთვის ეს ფორმატი მისაღებია, თუმცა, უნდა მოსინჯოთ სხვაც, ჩაატაროთ ფორმით და შინაარსით განსხვავებული ექსპერიმენტები. შესაძლოა ეს საუბრები იყოს უფრო სტრუქტურირებული და ფორმალიზებული, შეიძლება – ჯაზურიც. აზროვნების განვითარების მიზნით კი, მინდა ორი პრაქტიკული რჩევა მოგცეთ, – შეკითხვების დასმის სოკრატისეული მეთოდისა და მუშაობის დროს ვიზუალიზების ხერხის გამოყენება. არსებობს ამ მეთოდების ადაპტირებული საკლასო ვერსია და გთხოვთ, გაეცნოთ.“*

ნესტან რატიანი: *„მერჩია მოსწავლეების აზრი მეტად მომესმინა. უფროსებმა ჩვენი ცოდნის დემონსტრირება მოვახდინეთ. ვილაპარაკეთ ყველაფერზე და სირღმისეულად – არაფერზე.“*

„მეც ამის თქმას ვცდილობდი. კი არ ვიწუნებ მსგავსი ფორმატით გაკვეთილის ჩატარებას, უბრალოდ, ვამბობ, რომ დიალოგის მიზანია, რაღაც საკითხს ჩაღრმავდე, ამ ფორმის ერთ-ერთი გამოვლინება ისაა, რომ საუბარს იწყებ სიტყვით „დიახ“, რაც გულისხმობს საერთო მიზნის ქონას; ასევე ძალიან სასარგებლოა დებატის ფორმატიც, როცა მიზნად გაქვს შენი პოზიციის სისწორის დამტკიცება.“ – აღნიშნა სიმონ ჯანაშიამ.

მოსწავლეებმაც გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები. ისინი ამბობდნენ, რომ ასეთი ფორმატით ლიტერატურაზე საუბარი (და არა მხოლოდ ლიტერატურაზე) მათთვის პირველია და მიაჩნიათ, რომ სასარგებლოც, ბევრი ახალი და საინტერესო გაიგეს, რაღაცეებზე აზრიც შეიცვალეს. მეათეკლასელი **ვაჟა კლდიაშვილი** ამბობს, რომ ნიკა მასწავლებლის გაკვეთილები ყოველთვის განსხვავებული ფორმატით მიმდინარეობს, ეს არ არის კლასიკური გაგებით, მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა, მსჯელობა და დიალოგი ქართულის გაკვეთილებზე ჩვეულებრივი პროცესია. *„ჩვენთვის ეს საინტერესოა, რადგან განვითარებასთან ერთად, დიალოგის წარმართვის კულტურასაც გვიყალიბებს. დღევანდელი ფორმატი ნამდვილად განსხვავებული იყო, პირველ რიგში, საგრძნობია თაობათა შორის განსხვავება, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ სხვადასხვა სოციუმში ვიზრდებოდით და შესაბამისად სხვადასხვა გამოცდილება გვაქვს. სწორედ ამიტომაც გვაქვს განსხვავებული აზრები, რაც ძალიან კარგი რესურსია განვითარებისთვის.*

რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, სამომავლოდ მართლაც შეიძლება ცვლილების შეტანა. პირადად ჩემთვის ასეთი მშვიდი დიალოგი, როცა გამოთქმული აზრების უმრავლესობა ერთმანეთს ემთხვევა, არც ისე საინტერესოა. მცირე დისკუსია, რაღაც მოსაზრების გამოთქმა და დამტკიცება, ერთი სიტყვით, პაექრობა, უფრო საინტერესო და სასარგებლოა“.

ასე რომ, ბაქსვუდში ნამდვილად წარმოჩინდა ცოცხალი დიალოგის მნიშვნელობა და უპირატესობა. რაც უნდა ბევრი იკამათონ მისი ფორმატის ან, ზოგადად, ტექნიკური მხარის შესახებ, ერთი რამ ცხადია – პედაგოგმა სწორი, თანამედროვე გზა იპოვა მოსწავლეების ლიტერატურით დაინტერესებისათვის, რაც აისახა კიდეც თითოეული მათგანის აზროვნებასა და მეტყველების კულტურაზე.

თვალსაზრისი

როგორ ვასწავლით ქართულ ლიტერატურას ისევ სასკოლო სახელმძღვანელოს შესახებ

საქართველოს განათლების სამინისტრომ სახელმძღვანელოთა ავტორებს მისცა მითითება, რომ კითხვების დასმით მიიყვანონ შედეგამდე მოსწავლეები, ანუ კითხვების საშუალებით ხდება ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოების „გახსნა“. ზოგჯერ არის მოყვანილი ისტორიულ-სიტუაციური კონტექსტის აღსაქმელად რომელიმე მოღვაწის მოგონება, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, ეს არასაკმარისი პირობაა მწერლის შემოქმედების გასააზრებლად თუ გასაანალიზებლად.

მკითხველს, მასწავლებელს, მოსწავლეებს და, ზოგადად, ქართული ლიტერატურით დაინტერესებულ პირებს მინდა გავაცნო ჩემი დაკვირვება ქართული ენისა და ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოებში შეტანილ მასალებზე, ეს არის კრიტიკული ხედვა ნაწარმოებების იმ კუთხით გააზრებაზე, როგორც ეს ხსენებულ წიგნებშია. კერძოდ, ხშირად არის გამორჩენილი ის ძირითადი სათქმელი ამა თუ იმ ნაწარმოებისა, რაც ავტორმა ჩადო მკითხველთა საგულისხმოდ და ყურადღება გადატანილია სხვა მომენტებზე. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა გაცნობისას მოსწავლეებს არ უსვამენ მთავარ სტრატეგიულ კითხვებს, რაც დაეხმარება მათ მწერლის სათქმელის უკეთ გაგებაში (თან გასათვალისწინებელია ცენზურის დამთრგუნველი როლი იმჟამინდელ საქართველოში, რაც მშვენივრად ჩანს იაკობ მანსვეტაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოში შესული მოგონებებიდანაც. ამიტომ ილიასაც, როგორც სხვა მწერლებს, სჭირდებოდა და სჭირდება გულისყურით წაკითხვა – საგულისხმო აზრის გამოტანა). მაგალითად, კითხვებში, რომელიც დართული აქვს „კაცია ადამიანს“, სადაც გამახვილებულია ყურადღება იმაზე, რომ: *„ქართველის ხსენება დადებით შინაარსს იშვიათად იძენს ნაწარმოებში. ლუარსაბის „ქართველობაზე“ საუბარი კი აშკარა დაცინვაა. მოძებნეთ ტექსტში შესაბამისი ადგილები...“* [1] ამგვარად კითხვის დასმა არ მიმაჩნია მართებულად. თვითონ კითხვა არ არის გამართული, გაუგებარია ფრაზა: *„ლუარსაბის „ქართველობაზე“ საუბარი კი აშკარა დაცინვაა“*. იქვე საჭიროა მივუთითოთ, რომ რუსეთმა დაამკვიდრა ასეთი მდგომარეობა საქართველოში (მას შემდეგ, რაც სახელმწიფო გააუქმა), რომ ყველაზე მეტად უჭირდეს ქართველს. ის უშლის ქართველს თავის ენაზე სწავლას, ლოცვას, აზროვნებას. საქმე ისაა, რომ ამის შესახებ არ იწერება სახელმძღვანელოებში (მათ შორის, არც ისტორიის). ასე რომ, მოსწავლეს ექმნება შთაბეჭდილება, რომ, ზოგადად, ქართველი ასეთი იყო. არ არის გამახვილებული ყურადღება იმაზე, რომ ლუარსაბის სიტყვების საპასუხოდ ილია წერს: *„ეჰ, ჩემო ლუარსაბ! ვიცი, გულწრფელი ხარ, როგორც ყველა ძველი ქართველი, მაგრამ ძველს დროს ტყუილად შეჰნატრი. რომ არც კი იცი, რა იყო სანატრელი იმ ძველს დროში? ცხენი განა ეხლა კი არ არის? თოფი განა კი ეხლა ნიშანში ვერ მივა? მარჯვე მკლავი ცოტაა? ეხლაც არის ეს ყველაფერი, მაგრამ ის გული აღარ არის, ის გულის სიმხურვალე, ის თავგამოდება მამულისათვის, რომელიც კაი ცხენს და კაი თოფს კაი საქმეში ახმარებდა“*. სწორედ ესაა მთავარი არსი ამ მონაკვეთისა. ის, რასაც ლუარსაბი დროის გამოცვლად თვლის, სინამდვილეში თავისუფლების დაკარგვაა, მკაცრად ისჯება „გულმხურვალე მამულიშვილობა“, ლელთ ღუნია იტყვის: *„წარხდა ქართველთა სახელი ქართველთა წესთ-წყობაი...“* (ეს აბზაცი გამოტოვებულია სახელმძღვანელოში: *„აწინა მავალე სვამეხი უფროს გვაწიოკებს, უფროს სახლს გვიკლებს. ადრიდა მტერს მაინც ფარხრმალით შევეთამაშით, ვიგერიებდით, სვამეხს რაი ეყვის, ვერ მოსაგერიებელ, ვერ შესათამაშებელ? ადრიდა მტერთან ბრძოლაჩი, სწორების ჯობინობაჩი სახელ ვშოობდით, სვამეხთან ვაჟაი რა სახელ ჩამორჩების?“*).

ასევე არ მახვილდება ყურადღება იმის შესახებ, რომ ქართულ ტანისამოსს ბევრი იცვამს, რის შესახებაც ნათქვამია „მგზავრის წერილებში“ და მინდა ვთქვა, რომ ახლა უკვე იჩემებენ კიდეც. ეს ფაქტი დაფიქსირებულია ასევე მიხეილ ჯავახიშვილის ჩანაწერში, რომელიც მისმა ქალიშვილმა ქეთევან ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა: *„ჩოხა კი არ აუკრძალიათ* (რუსიფიკატორებს – მ.ბ.), *პირიქით, მიითვისეს – ყაზახური დაარქვეს“*.

ახლა ყველაფერს ერქმევა სახელად საერთოკავკასიური, ამაში კი დიდი „წვლილი“ აქვთ თვითონ ქართველ მეცნიერებს, თვითონ ანიჭებენ ამა თუ იმ ეთნოსს ხან ტანისამოსს, ხან სიმღერებსა და ცეკვებს, ხან კი ქართულ მითებსა და ზღაპრებს. ამას კი მოჰყვება მტკიცება იმისა, რომ ამ ეთნოსებს ჰქონდათ სახელმწიფოებრიობა თავისი მიწით, – რომელიც ხშირად მათი არ ყოფილა, არამედ ჯილდოდ მიიღეს საქართველოს დასასჯელად, – კულტურით, რომელიც, რატომღაც არ შემორჩათ – და ქართველებს სთხოვენ ვითომ გახსენება-აღდგენას, მათ შორის ისტორიისაც, ვითომ იმ მიზეზით, რომ მათი არქივები განადგურებულია. უნდა ითქვას, რომ არც ქართულ არქივებს მოჰკლებია „მსახვრალი ხელი“. ესეც რომ არ იყოს, თავად ერს ან თუნდაც ეთნოსს უნდა ჰქონდეს ისტორიული და კულტურული მეხსიერება და არა ისე, რომ ყოველთვის ქართველი უქმნიდეს, უდგამდეს, ულამაზებდეს, ამრავალხმიანებდეს, უგონებდეს ნაციონალურ ტანისამოსს... და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი უარყოფით გავლენას სწორედ ჩვენს სახელმწიფოებრიობაზე ახდენს. ეს ჩვენგან მრავალსიკეთემიღებული ხალხები თუ ეთნოსები თავად იჯერებენ (და სხვებსაც აჯერებენ), რომ ეს მათი მონაპოვარია და შედეგი კი – საქართველოს დამცრობაა... ამასთან დაკავშირებით მინდა შეგახსენოთ ქართული ხალხური ლექსი „შემომეყარა ყივჩაღი“:

„შემომეყარა ყივჩაღი საზღვარსა მუხრანისასა,
პური მთხოვა და ვაჭმიე, ვურჩევდი თავთუხისასა,
ღვინო მთხოვა და ვასმიე, ვურჩევდი ბადაგისასა..,“

ბოლოს კი ცოლს სთხოვს გათავხედებული უცხოტომელი და ეს მოსალოდნელია, რაც მეტს მისცემ, მეტს მოგთხოვს, რადგან ადამიანის ბუნება უმეტესწილად ასეთია. საჭიროა ჩვენ ჩვენი დავიცვათ და ყველამ თავისას მოუაროს, გავიხსენოთ, ნათქვამია: „ვინც მეტი ქნა, მას ეკითხაო.

საყურადღებოა „მგზავრის წერილებში“ ხაზგასმული ფაქტი, რომ ქართული მთავარი საკონტაქტო ენაა მთელ კავკასიაში: *„ქართველთ ენად ბევრი საუბრობს: სვამეხიც, ოვსიც, თათარიც, სხვა მილეთიც...“* ეს ფაქტი მიუთითებს ქართველთა ჰეგემონობაზე რეგიონში. ამაზე არანაირი მინიშნება სახელმძღვანელოში, თუმცა, შესაძლოა, ვერც შეამჩნიეს, ოღონდ ეს ვერაფერი გამართლებაა წიგნის ავტორთათვის.

წიგნის ავტორებს ვერც ის შეუნიშნავთ, რომ იამშიკის მოსაჩვენებელი თუ საჩვენებელი სახე სწორედ რუსეთის სახეა. აქ შეიძლებოდა ტრაქტატის თემის შემოტანა. რას ჰპირდება ეკატერინე მეორე ერეკლე მეფეს და სინამდვილეში რა გაკეთდა. თუნდაც ერთმორწმუნეობის ნიღბის ქვეშ რა ყაჩაღობა გაჩაღდა საქართველოში ეგზარქოსების მხრიდან, რასაც, ცხადია, რუსეთის მთავრობიდან ჰქონდა დიდი მხარდაჭერა.

ილია წერს, რომ რუსის მხატვრების სურათებზე ლამაზად არის გამოყვანილი *„სქელ-კისერა „იამშჩიკის“ ბრიყვი სახე, იმისი ოყრაყული სანახაობა, მისი მიდუნ-მოდუნებული ზლაზვნა, უადამიანო და პირუტყვული მიხრა-მოხვრა“*. და რამდენადაც სურათია კარგი, ორჯერ უფრო საძაგელია სინამდვილე. ასევე საგულისხმოა, რომ „რუსის მხატვრები“ ახერხებენ ამისთანა „იამშჩიკის“ სახის ლამაზად გამოყვანას, რადგან მათთვის *„მამულის კვამლიც კი ტკბილი და სასიამოვნოა“*. სახელმძღვანელოში კი ასეთი კითხვაა ამ პასაჟის გასაგებად დასმული: *„როგორ „პატრიოტიზმს“ აკრიტიკებს მგზავრი ნაწარმოების დასაწყისში?“*

მინდა შევჩერდე ასევე რუსი აფიცრის მიერ ახსნილ განათლებაზე. ის წარმოუდგენს ილიას ბნელ ოთახში შემოტანილ სანთელს და უხსნის, რომ ეს არის განათლება. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ეს დეტალი შესაბამისად არ არის გააზრებული. არც მე-11 კლასის სახელმძღვანელოშია სათანადო შეკითხვა დასმული, კერძოდ, კითხვა ასეთია: *„როგორ უხატავს პოდპორუჩიკი მგზავრს „განათლების სიკეთეს“? როგორ გამოარკვია მან, რა მდგომარეობაში იყო მგზავრის სამშობლო ცივილიზაციის მხრივ? რით ზომავდა იგი ცივილიზაციის დონეს?“* შეიძლება ჩათვალოს მოსწავლემ, რომ ერთ კონკრეტულ ჭკუასუსტ რუს ჩინოვნიკს, ან თუნდაც რამდენიმეს, აქვს ასეთი შეხედულება განათლებაზე, მაგრამ ეს ფაქტი უფრო გლობალურად უნდა გავიაზროთ და ამის საშუალება მივცეთ მოსწავლეებსაც. მე გაკვრით ვწერდი ამის შესახებ ჩემს წერილში „განათლების პოლიტიკა“, რომ ილიას მზით განათებული ოთახი დააბნელებინა აფიცერმა – სწორედ ამაშია საქმე, რომ ეს ოთახი რუსის მოსვლამდე იყო განათებული და რუსმა ფარდა ჩამოაფარებინა თან ისე, რომ სრულად დააბნელებინა. ის ეუბნება ილიას: *„იქნება სადმე ერთი ფანჯარა ღია დაგრჩათ, ისიც დაკეტეთ... რაკი ის ფანჯარაც დაკეტეთ, ფარდაც ჩამოაფარეთ“*. სწორედ ასე მოიქცა რუსეთი, საქართველოს ყველა ფანჯარა დაუკეტა ან დააკეტინა (მაშინ, როცა პეტრე პირველმა – რუსეთის იმპერატორმა – პეტერბურგი დააარსა, ევროპაში ფანჯარა გაჭრა და მშვენივრად ესმოდა ევროპასთან კავშირის მნიშვნელობა და შესაძლოა ამიტომაც საქართველოს დანარჩენი სამყაროსკენ დარჩენილი სარკმელიც კი დაუგმანა რუსეთმა), ფარდა ჩამოაფარა და ის მბჟუტავი სანთელი განათლებად მოაჩვენა.

ცივილიზაციის დონეს გენერლების რაოდენობით საზღვრავს აფიცერი (მას თავისი ქვეყანა ეჩვენება ცივილიზებულ ქვეყნად, მაშინ, როცა ეტლით მოარული რუსეთი ფრანგის დასაცინი გამხდარა). ამ საკითხთან დაკავშირებით არის დასმული კითხვა სახელმძღვანელოში. აქ უადგილო არ იქნებოდა შეგვეხსენებინა მოსწავლეთათვის, რომ 1871 წელს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრეს ქართველმა თავადებმა, უნივერსიტეტის ნაცვლად, სამხედრო სასწავლებლის დაარსება სთხოვეს, რაც თავად იმპერატორის სურვილი იყო (და რამაც აღაშფოთა ილია ჭავჭავაძე) და ეს გენერლების მიხედვით ცივილიზაციის გაზომვის ცდა შესაძლოა არა მარტო რუსი ჩინოვნიკის, არამედ სწორედ იმ ქართველ თავადთა გასაკილადაც იყოს დაწერილი (მით უფრო, რომ „მგზავრის წერილების“ ბოლო რედაქცია სწორედ 1871 წლითაა დათარიღებული).

ამასთან დაკავშირებით იქვე კარგი იქნებოდა დაგვესვა კითხვა, რის მიხედვით ექმნება შთაბეჭდილება მოსწავლეს ამა თუ იმ ერის, ქვეყნის შესახებ და შემდეგ გაგვეზიარებინა მათთვის ილიას მოსაზრება ამ საკითხის შესახებ, კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე ნათქვამი ფრაზა: *„...როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოვლთ უწინარეს ამას იკითხავს, – რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი.“*

კიდევ საინტერესოა, რომ „კაცია ადამიანში“ არის ბევრი „ვითომ“: ფანჯარაზე-ფიჭვის ჩარჩოებზე გაკრული გაქონილი ქაღალდი-ვითომ მინა, ცოლ-ქმრის ვითომ საქმიანობა, მოსამსახურეთა ვითომ დაწიოკება, სუტ-კნეინა-ვითომ კნეინა, „მითომ და იუბკა“, რომელიც ლამაზისეულს აცვია, ვითომ მკითხავი, ვითომ ორმო, ვითომ ჯადო, *„თავმოტეხილი წამლის მინა, რომელიც საწერელობას ჰთამაშობდა“* -ვითომ სამელნე... და, საბოლოოდ, ვითომ ცხოვრება, რაც ცხოვრებად მიაჩნიათ ლუარსაბს და დარეჯანს (და არა მარტო მათ). სწორედ კითხვებით შეიძლება მოსწავლეებს მოვაძებნინოთ რამდენი „ვითომ“ არის ტექსტში, რაც ყურადღებას გაუმახვილებთ – ილიას რისი მინიშნება სურდა ამით.

ასევე მინდა შევეხო ბარათაშვილის სწავლებას სკოლაში. მისი პოეზიის (შემოქმედების) გაგება არასრულფასოვანია მისი ბიოგრაფიის, წერილების გაცნობის გარეშე. ის კი არა, გრიგოლ ორბელიანის წერილების ფრაგმენტებიცაა საჭირო, რომ გავიგოთ იმ ეპოქის სული, რაც მათი შემოქმედების აღქმაში დაგვეხმარება. ვერც ამ მხრივ დაიკვეხნის სკოლის სახელმძღვანელო.

ბარათაშვილთან დაკავშირებით მოყვანილია კრიტიკოსთა ნააზრევიდან ამონარიდები, თუმცა არც ერთი სიტყვა ილია ჭავჭავაძის შეფასებიდან, რაც მოცემული აქვს თავის „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“. არადა პოეტი, თანაც იმ ეპოქასთან უფრო ახლოს მდგომი, რომელმაც, ფაქტობრივად აღმოაჩინა ნიკოლოზ ბარათაშვილი, ბევრად უკეთ გაგვაგებინებს და აღგვაქმევინებს პოეტისავე შემოქმედებას. ხსენებულ წერილში ილია ჭავჭავაძე გვესაუბრება ბარათაშვილის შემოქმედებაზე ერთიანად, ის სხვადასხვა ლექსს უკავშირებს ერთმანეთს; „რად ჰყვედრი კაცსა...“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ეპოვე ტაძარი“, პოემას „ბედი ქართლისა“... ილია წერს: *„ჩვენის ფიქრით, „მერანი“ წინასიტყვაობაა „სულო ბოროტოსი“ არა მარტო იმითი, რომ წინ არის დაწერილი, არამედ შინაარსითა. „სულო ბოროტოში“ მხოლოდ მიზეზია ნაპოვნი იმ „გონების და სიცოცხლის აღშფოთებისა“, რომელიც შავად მღელვარე ფიქრად მიჰსევია ჩვენს პოეტსა „მერანში“ და ის მიზეზი იგი მსუსხავი და მწვავი ეჭვია, რომელმაც პოეტს მოუკლა „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“, დაუკარგა „სულის მშვიდობა“, აღუთქვა და არ მისცა კი „თავისუფლება ამ წუთის-სოფლად“...* სხვაგან კიდევ (იმავე წერილში) ვკითხულობთ: *„მართალია, ცას იქით ვერ იპოვა სადგური, რადგანაც ადამიანის უძლურ გონებისათვის მიუწვდენელიაო, მაგრამ მაინც თავის „მერანის“ იმედი არ დაჰკარგვია და ეუბნება: თუ ცას იქით ბუნას ვერ მიწვდი, შენ შენსას მაინც ნუ დაიშლიო:*

„გასწი, მერანო, გარდამატარე ბედის სამზღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი.“

აშკარაა, სამზღვარდადებული სიგრძე-სიგანე ადამიანის აზრიანობისა ჩვენის პოეტის „სულის კვეთებას“ ვერ იტევს. მას სწყურს ეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს და „ნიავს მისცეს“ თავისი შავად მღელვარი ფიქრი, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს... ამ სახით, იგი ჰთაკილობს დაემორჩილოს ბედს, რომელსაც ადამიანის გონებისათვის საზღვარი დაუდვია, და განაგრძობს:

„დაე მოვკვდე მე უპატრონოდ, მისგან ოხერი,
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი,“

და ჰნუგეშობს, რომ ეს გაძალიანება, ეს თავგანწირულება, ეს „სულის კვეთება“, ეს პირდაპირი ომი ბედთან ცუდად (ანუ უშედეგოდ, ტყუილუბრალოდ – მ.ბ.) *ხომ მაინც არ ჩაივლისო. ...რას გაურბოდა? საით მიიზიდებოდა? სად ემუდარებოდა თავის მერანს მიმიყვანეო, როცა ეუბნება: გაჰკვეთე ქარი, გაიპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი? ამის პასუხს ვერ ვიპოვით „მერანში“ ხოლო თუ სახეში მივიღებთ სხვადასხვა დროს თქმულს მის მიერ ლექსებს, ცხადად დავინახავთ, რომ იგი მიურბის იმ „ჭკუით ურწმუნობას“, იმ „გულით უნდოობას“, იმ „გონებით და ცხოვრებით“ აღშფოთებას და გაფეთებას, რომელიც შუბის წვერისავით გულს დაესობა ხოლმე აზრგაღვიძებულს ადამიანს, ეჭვით გულ-ღვიძლამდე გაბნეულს, მოუსვენარ და ჭეშმარიტების მუდამ მძებნელ მწყურვალ გონებისაგან... ბოლოს მთლად მიენდო „მერანს“, რადგანაც მის ჭენებას საზღვარი არ აქვს: შენ გასწიე, ნურას მოერიდები, ნურც მე შემიბრალებ დაქანცულობითა, და თუ ვიპოვეთ რასაც ვეძებთ, ხომ კარგი, თუ არა და, ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩებაო.*

„და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
შავის ბედის წინ გამოუქროლდეს.“

ეს მსუსხავი და მწვავი ქროლა გონებისა, ადამიანის ამღვრეულ გულის ქარტეხილისაგან მოვლენილი, განა საკმაო მიზეზი არ არის ესეთის თავგანწირულ სულისკვეთებისა და ეს სულისკვეთება განა ზოგადკაცობრიული არ არის? მაშ, მაშინ არც ბაირონის დიდებული და ზარიანი ჭექა-ქუხილი ყოფილა ზოგადკაცობრიული?..“

საინტერესოა ასევე პოეზიის ილიასეული აღქმა მოცემული მისსავე წერილში „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“, სადაც ის მიმართავს მოსწავლეებს: *„ქართულად ლექსად მოწყობა სიტყვისა მეტად ადვილია. ...ხოლო ლექსი იმით არა ლექსობს, რომ სიტყვების ბოლოები ერთმანეთისათვის შეუწყვიათ. ლექსი პოეზიის შვილია. რა არის პოეზია, ამას ვერა კაცი ვერ აგიხსნით.*

---

[1] ილია ჭავჭავაძე ამ მოთხრობის შესავალშივე გვამცნობს, რომ ქართველთა უარყოფით თვისებებზე გაამახვილებს ყურადღებას. როცა ასეთ მსჯელობას ვთავაზობთ მოსწავლეებს, როგორც ეს სახელმძღვანელოშია, იქვე საგულისხმოა, რომ ლუარსაბი ძველ დროს შენატრის, რადგან ძველი დროის ქართველი მართლაც დადებითად აღიქმება როგორც ავტორის, ისევე ლუარსაბის მიერ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თავად თათქარიძეს, ავტორისგან განსხვავებით, არ აქვს გაცნობიერებული, რატომ.

თვალსაზრისი

...პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი. ჩვენ მხოლოდ მისი ზედმოქმედება ვიცით. ვიცით, რომ იგი გვასიამოვნებს ჭირსა და ლხინშიაც. ვიცით, რომ იგი ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულისთქმათა, ფიქრთა, ნაღველთა, ლხინთა, ერთის სიტყვით ხილულთა და არ ხილულთა. ვიცით, რომ მისგან მოხიბლულს კაცს „ავიწყდება საწუთროება“, მის მიერ „გატაცებული „გულისთქმა კაცის ცისა იქით ეძიებს სადგურს, ზენა ართ სამყოფთ“, როგორც ამბობს ჩვენი გამოჩენილი პოეტი ნ. ბარათაშვილი. „...პოეზია უცნაური მადლია..ამასაც მოვლა უნდა... ეგ ისეთი აზიზი, მზეთუნახავი ყვავილია, რომ მალე ჭკნება, თავის სუნნელებას ჰკარგავს, თუ მეცნიერების შუქი არ ადგია, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდევ დღემუდამ არა ჰფურჩქნის“ (გავიხსენოთ რუსთველის სიტყვები: *„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი...“* – მ.ბ.)...*„პოეზია ღვთაებური ღონეა, – განაგრძობს ილია, – გულის სიღრმიდან მარგალიტების ამომტანელი, მხატვარია ცხოველმყოფელი და ხორცთშემსხმელი უსხეულო აზრისა, ფიქრისა, გრძნობისა, ერთი სიტყვით ადამიანის და მსოფლიოს სულის მოძრაობისა...“*

მინდა ჩემი (არაპოეტის) დაკვირვება-მოსაზრება გავანდო მკითხველს. კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ვპოვე ტაძარი“ და აკაკი წერეთლის ლექსის „აღმართ-აღმართ“ შესახებ, რადგან ორივე შესულია სკოლის პროგრამაში, როგორც დემეტრე პირველის ცნობილი ღვთისმშობლის საგალობელი:

„შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით თვისით მზე ხარ განბრწყინვებული.“

ლექსში შთაბეჭდილებას აძლიერებს ავტორისეული ზეაღსვლა მიზნისაკენ: მზისკენ, რასაც ავტორი თანდათანობით ავლენს: ყოველი წინამდებარე სიტყვა თითქოს მისი მომდევნო სიტყვის ერთგვარ საყრდენად იქცევა და კულმინაციას აღწევს ბოლო სახეში – *„მზე ხარ განბრწყინვებული“*. ასევე აღმავალი განწყობით მიდის ლექსი „ვპოვე ტაძარი“:

„ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;
მუნ ენთო მარად უქრობელი, წმიდა ლამპარი;
ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი,
და განისმოდა ციურ დასთა გალობის ზარი!“

ეს აღმასვლა გრძელდება ლექსის ზუსტად ნახევრამდე – სიტყვებამდე: *„მეგონა ვჰხედავ სასუფეველს, აქ დაშენებულს“* და შემდეგ კი დაღმავალი განწყობა იწყება სიტყვებით: *„მაგრამ საწუთო განა ვისმეს დიდ-ხანს ახარებს?“*...და ასე მთავრდება:

„ვერღა ამიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკულმართმა ნუგეშის კარი,
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!“

თითქოს ყოველივე იმედის მომცემი ხილვის ფარდად (//შესაბამისად) ეშვება პოეტის აღმაფრენა-საწუთროს ცვალებადობის გამო, და მეორე ნახევარი ლექსისა დაღმასვლას გვიჩვენებს.

მსგავსად შეიძლება დავინახოთ აკაკი წერეთლის ლექსი-მაჯამა „აღმართ-აღმართ“[2] , სადაც ამ ზეაღსვლის შემდეგ, როცა პოეტი სერზე შედგება, მზე სხივებს მოაფენს, რაც ამაღლებულ განწყობას უქმნის:

„აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზედ შევდექ, ჭმუნვის ალი მენელა;
.....
გულმა ძგერა, სულმა შფოთვა დამიწყო,
ჩანგმაც თვისი მე სიმები დამიწყო.
ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმა
(აწ იგი ხმა ვერ ისმინოს გაისმა)
ცის მახლობლად ფეხქვეშ ვიგრძენ მიწა მე,
ვსთქვი: „ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად მიწამე!“

როცა დაინახავს სატრფოს განსაცდელში და, მიუხედავად პოეტის გაფრთხილებისა, *„ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი“* – იწყება დაღმასვლა:

„ჩემო თავო, ვეღარ გკურნენ წამალით!
დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა მალით!
იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!
.....
დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარად, ის,
ხელდაკრეფით განისვენე მარადის!“

ვფიქრობ, ამ ლექსების ასე წარმოჩენა დაეხმარება მოსწავლეებს ლექსის აღქმაში, დააფიქრებს, ყოველ შემთხვევაში, ყურადღებას გაუმახვილებს ლექსების აგებულებაზე, მათ ასეთ გააზრებაზე.

იმედი მაქვს, ეს რეკომენდაციები, შენიშვნები და მოსაზრებები გათვალისწინებელი იქნება როგორც წიგნის შემდგენლების, ასევე იმ უწყებათა მიერ, ვისაც ევალება ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საკითხები.

მაია ბარნაველი

[2] უნდა ითქვას, რომ აკაკის ამ ლექსს ახლავს კითხვები, რაც მიგვანიშნებს მის აგებულებაზე, კერძოდ: *„რომელ სტრიქონებში აღწევს ლექსის აღმავალი ტონი კულმინაციას?“ „რამ განაპირობა „დაღმართ სვლა?“* უკეთესი იქნებოდა ბარათაშვილის ხსენებულ ლექსთან პარალელის შემჩნევა და მოსწავლეებისთვის დანახვება, მაგრამ ჯერ თვითონ სახელმძღვანელოს ავტორმა ლიტერატორებმა უნდა დაინახონ ეს, მით უმეტეს, რომ ლექსს „ვპოვე ტაძარი“ იმავე მეთერთმეტე კლასში ასწავლიან.

პროფესიული განათლება

დუალური პროფესიული განათლება წარმატებით ინერგება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის, ბოლო წლების განმავლობაში, მჭიდრო თანამშრომლობა ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების სფეროში. აღნიშნული ორგანიზაცია პროფესიული განათლების რეფორმის ერთ-ერთი მხარდამჭერია და ხელს უწყობს საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის განხორციელებას. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში წარმატებით განხორციელდა მრავალი ინიციატივა.

ამ ეტაპზე, წარმატებით მიმდინარეობს გერმანული დუალური პროფესიული განათლების მოდელის დანერგვა მეღვინეობის მიმართულებით, რაც პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოებით, ქვეყნის ისტორიულ/ტრადიციული ტექნოლოგიების სიღრმისეული შესწავლით, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით, ინოვაციური მიდგომების დანერგვით და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობითაა შესაძლებელი.

მეღვინეობის მიმართულებით დუალური პროფესიული განათლების დანერგვის და პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის მხარდასაჭერად, საქართველოს ეწვივნენ ბავარიის სახელმწიფო კვლევის ცენტრის მეღვინეობის დეპარტამენტის უფროსი ჯორჯ ბათზი და 25 გერმანელი სტუდენტი. ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა გერმანელ სტუდენტებს განათლებაში საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის როლი გააცნო, პროფესიული განათლების რეფორმა მიმოიხილა და საქართველოში გერმანული მოდელის – დუალური განათლების დანერგვის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

შეხვედრის ფარგლებში, გერმანელმა სტუდენტებმა „შატო მუხრანის“ სასახლე დაათვალიერეს, საქართველოში მეღვინეობის უძველეს ტრადიციებს გაეცნენ და კახეთის რეგიონის მეღვინეობის პროფესიულ სტუდენტებს შეხვდნენ. გერმანელმა ექსპერტებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა დამსწრე საზოგადოებას გერმანული გამოცდილება გაუზიარეს მეღვინეობა-მევენახეობის დუალური პროფესიული განათლებისა და შემდგომი დასაქმების საკითხების შესახებ.

ქეთევან ნატრიაშვილი: *„მეღვინეობა და მევენახეობა სწორედ ის მიმართულებებია, სადაც ძალიან ეფექტურია სწავლება მუშაობის პროცესში. შესაბამისად, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან ერთად, კერძო სექტორთან დავიწყეთ მუშაობა და დღეს უკვე ათი ქართული ღვინის კომპანია მზად არის მიიღოს სტუდენტები საწარმოში, უშუალოდ სამუშაო პროცესში განათლების მიწოდების მიზნით. ეს ძალიან პრაქტიკული განათლებაა. დაგეგმილია თანამშრომლობა გერმანულ მეღვინეობის ინსტიტუტებთან და გერმანიის კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. ვფიქრობთ, ეს იქნება პირველი ნაბიჯები მეღვინეობა-მევენახეობის მიმართულებით დუალური განათლების დანერგვის მიზნით.“*

იოჰან ტაისი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების კერძო სექტორის განვითარების პროგრამის საქართველოს კომპონენტის მენეჯერი: *„ძალიან მოხარული ვართ, დღეს აქ რომ ვიმყოფებით. ეს ახალგაზრდები ბავარიის სახელმწიფო მეღვინეობის ინსტიტუტში ეუფლებიან პროფესიას. ალბათ, ძალიან საინტერესო იქნება ქართველი და გერმანელი სტუდენტების შეხვედრა. დუალურ განათლებაში კერძო საწარმოებისა და კომპანიების როლი უდიდესია. მსგავსი თანამშრომლობა ეკონომიკის განვითარებისთვისაც დიდი წინგადადგმული ნაბიჯია. ჩვენ, როგორც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, ყოველმხრივ შევეცდებით, ხელი შევუწყოთ ამ ტიპის ურთიერთობის განვითარებას.“*

ჯორჯ ბეთზსი, ბავარიის სახელმწიფო კვლევის ცენტრის მეღვინეობის დეპარტამენტის უფროსი: *„ბავარიის მეღვინეობის ინსტიტუტში მეღვინეობა-მევენახეობის მიმართულებას ვხელმძღვანელობ. დღეს აქ სტუდენტებთან ერთად ვიმყოფებით. ჩვენთვის ძალიან საინტერესოა ვიზიტი მეღვინეობის უძველეს ქვეყანაში. დაინტერესებული ვართ აქ არსებული ტრადიციული, ძველი მეთოდების გაცნობით.“*

პროფესიულ განათლებასა და კერძო სექტორს შორის პარტნიორობა გაძლიერდება

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ ფარგლებში, პროფესიული განათლების სექტორში ინდუსტრიის მონაწილეობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის საგრანტო კონკურსში გამარჯვებულები გამოვლინდნენ. საგრანტო კონკურსის პირველი ფაზის ფარგლებში, დაფინანსდა შვიდი პროექტი, რომლის საერთო ბიუჯეტი 70 000 აშშ დოლარს შეადგენს. პროექტი დაფინანსებულია აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის კომპაქტის (გრანტის) ფარგლებში.

საგრანტო კონკურსი 2015 წლის 4 დეკემბერს გამოცხადდა და მისი მიზანია პროფესიულ განათლებაში ინდუსტრიის, დამსაქმებლების მონაწილეობის საუკეთესო პრაქტიკის განვითარება და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა. კონკურსში მონაწილეობდნენ: საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები, კერძო კომპანიები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

დაფინანსებული პროექტებიდან, სამი საქართველოს რეგიონებში – ქუთაისში, რუსთავსა და კაჭრეთში განხორციელდება, დანარჩენი კი – თბილისში. საგრანტო კონკურსის მეორე ფაზა 2016 წლის ბოლოს გამოცხადდება. საგრანტო კონკურსის სრული ბიუჯეტია 250 000 აშშ დოლარი. გრანტი, ასევე, ითვალისწინებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციურ გაძლიერებას, მასწავლებელთა კომპეტენციის ზრდას, ინოვაციური სწავლების მეთოდების შემოღებას და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პოპულარიზაციას.

საგრანტო კონკურსის პირველი ფაზის გამარჯვებული ორგანიზაციები არიან: საქართველოს ბიზნეს აკადემია - SBA; ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“; სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; სსიპ - ქუთაისის №33 საჯარო სკოლა; შპს მაინდსტრიმი; საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია.

ქეთევან ნატრიაშვილი: *„პრემიერ-მინისტრის მიერ წარდგენილი პროფესიული განათლების რეფორმის ახალი ეტაპის შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უკვე დაიწყო აქტიური მუშაობა განხორციელების გეგმის შედგენაზე. გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დახმარებით გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, დამსაქმებელსა და პროფესიულ სასწავლებელს შორის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითების გამოსავლენად. შერჩეული შვიდი კონკურსანტი მიიღებს გრანტს და იმუშავებს საუკეთესო მაგალითების დადგენა-ჩამოყალიბებაზე, რომელსაც შემდგომ ფართო საზოგადოებას გავაცნობთ. მსგავსი კონკურსები ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიულ განათლებაში საჯარო/კერძო პარტნიორობის ხელშეწყობის მიზნით.“*

მაგდა მაღრაძე, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ხელმძღვანელი: *„შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების განვითარების მიზნით, საქართველოში მიმდინარეობს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროფესიული განათლების პროექტი, რომელიც რამდენიმე მიზანს ისახავს: ხელი შევუწყოთ კერძო/საჯარო პარტნიორობას პროფესიული განათლების პროვაიდერებსა და დასაქმების ინდუსტრიას შორის. ასევე, ხელი შევუწყოთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტექნიკური დახმარების კუთხით, რომ დავნერგოთ და განვავითაროთ შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების პოლიტიკა. დღეს ერთ-ერთი ჩვენი კომპონენტის პრეზენტაცია გაიმართა, სადაც გამარჯვებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც, კერძო/საჯარო პარტნიორობის ინდუსტრიისა და პროფესიული განათლების პროვაიდერთა პარტნიორობის ჭრილში, საუკეთესო მაგალითები წარმოადგინეს, გადავეცით გრანტები.“*

დევიდ ჰენდლი, პროექტის ხელმძღვანელი: *„ძალიან გვიხარია, ჩვენი საგრანტო კონკურსის შვიდი გამარჯვებული რომ გამოვავლინეთ, ჩვენი კონკურსის მიზანიც ხომ პროფესიული განათლების მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა იყო. შვიდივე გამარჯვებული სხვადასხვა დარგის წარმომადგენელია – კოლეჯი, საშუალო სკოლა, არასამთავრობო ორგანიზაცია, სოციალური პარტნიორი და კერძო კომპანია. მნიშვნელოვანია, რომ ყველა პროექტი სხვადასხვა მიმართულებით იქნა განხორციელებული, მაგრამ მათ აერთიანებს კერძო სექტორის დიდი ჩართულობა. ამ ჩართულობის შედეგად უნდა მოხდეს პროფესიული განათლების პროგრამების დახვეწა და საუკეთესო პრაქტიკის შემუშავება, რომელიც შემდგომში უკვე სხვა კოლეჯებშიც შეიძლება განვითარდეს. მომავალი რაუნდი 2016 წლის ბოლოს გამოცხადდება და იმედი გვაქვს, კიდევ უფრო მრავალფეროვანი პროექტები გამოვლინდება.“*

სასკოლო აქტივობა

კლასგარეშე აქტივობების მნიშვნელობა სწავლების პროცესში

წარმატებული სკოლის ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებას, სკოლის ყველა წარმომადგენელს აერთიანებს საერთო ღირებულებები და ინტერესები. ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ასეთ ურთიერთობებს აყალიბებს, კლასგარეშე აქტივობებია. ამ დროს პედაგოგი უკეთ ეცნობა მოსწავლის სუსტ და ძლიერ მხარეს, საჭიროებებს და ინტერესებს.

მაინც რა არის კლასგარეშე აქტივობების მიზანი? – სკოლის საერთო კულტურის ჩამოყალიბება, მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესების განვითარება, თვითაქტუალიზაციის ხელშეწყობა და თავისუფალი დროის რაციონალური დაგეგმვა. სასკოლო პერიოდში ბავშვის სრულფასოვანი განვითარება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად აქვს მას შესაძლებლობების, ინტერესებისა და ნიჭის გამოვლენისა და განვითარების საშუალება. კლასგარეშე აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ და სოციალურ განვითარებას. მიიჩნევა, რომ სკოლაში, სადაც მრავალფეროვანი კლასგარეშე აქტივობები ტარდება, პრობლემებიც ნაკლებია და მოსწავლეებიც მაღალი აკადემიური მოსწრებით, საკუთარი თავისადმი დადებითი დამოკიდებულებითა და თვითეფექტიანობის განცდით გამოირჩევიან.

კლასგარეშე აქტივობების ამოცანებია:

– კონკრეტულ სფეროში მოსწავლეთათვის ცოდნის გაღრმავება;

– მოსწავლეთა სწავლის სტიმულირება;

– მოსწავლის პიროვნების განვითარების ხელშეწყობა;

– პროფორიენტაცია.

ჩემი სურვილია, გაგიზიაროთ ერთ-ერთი კლასგარეშე აქტივობა, რომელიც ჩავატარე ორ სკოლაში, სადაც რუსულ ენას ვასწავლი. მოგეხსენებათ, რომ მოსწავლეებში ამ საგნის მიმართ ინტერესი დაბალია. ამ ეტაპზე, ნათლად გამოიკვეთა ქართულისა და უცხოური (რუსული) ენების საგნობრივი კათედრების ჩართულობა, რამაც ინოვაციური ხასიათის აქტივობების წარმოჩენა-გაზიარება განაპირობა.

ორივე სკოლის მერვეკლასელებს დავავალე: ჩაეტარებინათ კვლევა, მოეძიებინათ რუსული სიტყვები, ანუ ბარბარიზმები, რომლებსაც ჩვენ, აჭარლები, ყოველდღიურად ვიყენებთ. მოსწავლეები ამ კვლევას დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ, მაღალი იყო ჩართულობა და მოტივაცია. ყოველ გაკვეთილზე მოჰქონდათ რუსული ბარბარიზმები, შესაბამისი ქართული განმარტებებით. მუშაობის პროცესი საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. გაგვიჩნდა სურვილი, ეს ყველაფერი, სრულყოფილი ფორმით, გაგვეზიარებინა ჩვენი სკოლის მოსწავლე-მასწავლებლებისთვის. მოსწავლეებმა დაამუშავეს თემები, წაიკითხეს ლექსები საკუთარი ინტერპრეტაციით. ერთ-ერთმა ლექსიც კი დაწერა დედაენაზე. ჩვენი ნამუშევარი, დედაენის კვირეულის ფარგლებში, ორივე სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს წარვუდგინეთ. მოსწავლეები ღელავდნენ, რადგან მათთვის პირველი იყო მსგავსი შემეცნებითი კვლევა-პროექტი, რომელსაც „ნორჩ ლინგვისტთა კონფერენცია“ ვუწოდეთ. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, დიდი იყო მოწონება.

მოსწავლეებმა არა მარტო ქართული ენის წარმოშობის ისტორია გაგვახსენეს, არამედ ყველა ის პრობლემა განიხილეს, რომელიც დღეს აქვს ქართულ ენას და მოუწოდეს საზოგადოებას, არ დაამძიმონ ბარბარიზმებით, არ დაუკარგონ ენას ემოციური ხიბლი და საკომუნიკაციო ფუნქცია, რადგან „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმის“ (ნიკო მარი).

და რაც მთავარია, მათ გაიღრმავეს ცოდნა კონკრეტულ თემაზე, დაამუშავეს ინფორმაცია, შეიძინეს პრეზენტაციის უნარ-ჩვევები, გაიმდიდრეს ლექსიკური მარაგი როგორც მშობლიურ ენაში, ასევე რუსულში.

ამ კვლევა-პროექტით მივაღწიე შედეგს, რომელიც ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს შეესაბამება:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;

ბ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება, ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;

გ) მოსწავლე იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე.

კლასგარეშე აქტივობები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან მოსწავლეთა რაოდენობის, სისტემატურობისა და დიდაქტიკური მიზნების მიხედვით.

მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფს, რომელთაც სურთ ცოდნის გაღრმავება რომელიმე სფეროში, სჭირდებათ დამატებითი კონსულტაციები მასწავლებლებთან – საპრეზენტაციო მასალის მომზადება თუ, კვლევის დაგეგმვისათვის, ველზე გასვლა.

სისტემურობის მიხედვით, კლასგარეშე საქმიანობები შეიძლება დაიყოს ეპიზოდურ და სისტემურ საქმიანობებად. სისტემური შეიძლება იყოს – წრეები, კლუბები, სტუდიები და სხვ.; ეპიზოდური – ვიქტორინები, კონფერენციები, ღონისძიებები, ექსკურსიები და სხვ.

თუ გვინდა, რომ ჩვენი სკოლა წარმატებული იყოს, სასწავლო პროცესი კლასგარეშე აქტივობებით უნდა გავამდიდროთ. სასურველია, ყველა საგნის მასწავლებელმა ჩართოს მოსწავლეები მსგავს კვლევებში, პროექტებში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში საუკეთესო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ჩემი შიდა სასკოლო კვლევებით, ამ სახის კლასგარეშე აქტივობები მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ, რადგან მუშაობის პროცესში: ახარისხებენ ინფორმაციას, ქმნიან თემებს, სლაიდებს, ამზადებენ პრეზენტაციებს, დაკავებულები არიან შემოქმედებითი მუშაობით, იძენენ ურთიერთობის გამოცდილებას როგორც ინდივიდთან, ასევე ჯგუფებთან, იღრმავებენ ცოდნას კონკრეტული თემის ირგვლივ და, რაც მთავარია, ასეთი ჩართულობა გადამდები ხდება.

თუ მრავალფეროვანი კლასგარეშე აქტივობები გვექნება, სკოლაც წარმატებული იქნება და მოსწავლეებიც – რეალიზებული, რაც მომავალში სრულფასოვანი მოქალაქეების ჩამოყალიბების გარანტიაა.

სოფიკო ბრეგვაძე
შუახევის მუნიციპალიტეტის
სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლის
რუსული ენის მასწავლებელი,
პროექტით „ასწავლე საქართველოსთვის“

სასწავლო ექსკურსია გელათში

სსიპ ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, ტრადიციულად, ყოველწლიურად ატარებს ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ კვირეულს, რომლის მიზანია გაუძლიერეს მოსწავლეებს სიყვარული მშობლიური ენისა და სამშობლოსადმი, ღირსეული წინაპრებისადმი, რომლებმაც დღემდე მოგვიტანეს სამი ღვთაებრივი საუნჯე – „ენა, მამული, სარწმუნოება“. ამ მიზანს ემსახურებოდა ენის კვირეულისადმი მიძღვნილი ინტეგრირებული (გეოგრაფია-ქართული-ისტორია) ხასიათის სასწავლო ლექცია-ექსკურსია გელათში, რომელშიც №8 საჯარო სკოლის მეცხრეკლასელები მონაწილეობდნენ. *„ენის სიძლიერის უტყუარი ქვაკუთხედი“ – დავით აღმაშენებელი და გელათის აკადემია (უძველესი საგანმანათლებლო კერა)“*, ასეთი იყო ღონისძიების გეგმა.

ლექცია-ექსკურსია დაიწყო ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვით – „გზა ჩემი სკოლიდან გელათამდე“ (ხელმძღვანელი – გეოგრაფიის მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი **ნანა ვარდოსანიძე-ყიფიანი**). მოსწავლეებმა – **ლეილა ჩხეტიანმა** და **ვახტანგ პაპაშვილმა** – გაგვაცნეს გზის ამ მონაკვეთზე განთავსებული ყველა მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობა: მწვანეყვავილას პანთეონი და მასში შემავალი ძეგლები, ისაუბრეს ტოპონიმის „ჭახათა“ შესახებ, „შოთას წყაროს“ დაარსებაზე, სატელევიზიო ანძაზე, მოწამეთას მონასტერსა და მის ისტორიულ წარსულზე, დავითისა და კონსტანტინეს თავგანწირვაზე, მოგვაწოდეს ინფორმაცია მდინარე წყალწითელასა და სოფელ გელათის შესახებ.

სოფელ გელათის სიღრმეში ასულებმა მოვინახულეთ ახლად აღდგენილი მთავარანგელოზის (გიდი – **მარიამ მურუსიძე**) და წყაროცხოვრებისას (გიდი – **ლია ხეცურიანი**) სახელობის ეკლესიები, სოხასტერად წოდებული ტერიტორია, სადაც მეცნიერთა აზრით უნდა ყოფილიყო დავითის მიერ დაარსებული ქსენონი. სამონასტრო კომპლექსში შესვლისას მიმოხილვა დაიწყო წმ. გიორგის სახელობის ტაძრით (გიდი – **ნიკოლოზ ტალახაძე**), მოსწავლეებმა ისაუბრეს წმ. ნიკოლოზის ეკლესიასა და სამრეკლოს შესახებ (გიდი – **გიორგი სოლოღაშვილი**); მთავარი ტაძრის არქიტექტურაზე გვესაუბრნენ **თამარ ბუხაიძე** და **ლეილა ჩხეტიანი**, ხოლო მთავარ ტაძარში გვიამბეს იქ დაკრძალული წმ. მეფე სოლომონ II-ის (გიდი – **მარიამ მურუსიძე**), გაბრიელ ქიქოძის (გიდი – **ლეილა ჩხეტიანი**), ექვთიმე გაენათელის (გიდი – **სალომე გოტიაშვილი**), წმ. ანდრია პირველწოდებულის ეკვდერის (გიდი – **მარიამ დავითულიანი**), ასევე – მთავარი ტაძრის ფრესკების (გიდები – **თეკლა პაპავა**, **გიორგი მიქაუტაძე**), მზის საათის (გიდი – **გიორგი გორგიძე**), ობსერვატორიისა და აკადემიის შესახებ (გიდები – **სალომე გიტიაშვილი, ანი ჩხიკვაძე**, **სალომე ნიშნიანიძე**, **ირმა ანდღულაძე**). მოსწავლეებმა დავით აღმაშენებლის საფლავთან გამართეს ლიტერატურული კომპოზიცია – „ენის სიძლიერის უტყუარი ქვაკუთხედი – დავით აღმაშენებელი და გელათის აკადემია (უძველესი საგანმანათლებლო კერა)“.

გელათის მთავარი ტაძრის გალავნის გარეთ (ზემო მხარეს) მოვიხილეთ ელია წინასწარმეტყველის (გიდი – **ლეილა ჩხეტიანი**), საბა გამწმენდელის ეკლესიები (გიდი – **თეკლა პაპავა**), წმ. საბას ტაძრისკენ მიმავალ გზაზე – „სისხლიანი ქვები“ (გიდი – **გიორგი გორგიძე**), აგრეთვე ტყის სიღრმეში მდებარე წმ. ნინოს სახელობის მშენებარე მონასტერი (გიდები – **გიორგი** და **ელდარ სოლოღაშვილები**). ლექცია-საუბართან ერთად მოსწავლეები სხვადასხვა აქტივობებს გვიჩვენებდნენ.

სკოლის დირექტორმა **თეა ჩხეტიამ** მაღალი შეფასება მისცა ინტეგრირებულ სასწავლო ლექცია-ექსკურსიას. აღნიშნა, რომ მეცხრეკლასელებმა უამრავი ისტორიული ფაქტისა და მოვლენის ცოდნა გამოავლინეს, რისთვისაც მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს, მათ პედაგოგებს – გეოგრაფიის მასწავლებელს, **ნარინი ყიფიანს**, ქართულის მასწავლებელს **მზია ზარნაძეს**, ისტორიის მასწავლებელს **დარეჯან ლანჩავას** და სურვილი გამოთქვა, რომ მსგავსი ღონისძიებები საქართველოს სხვა რეგიონების სკოლებშიც ჩატარდეს, რადგან ამ ტიპის აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებას, მშობლიური მხარის ისტორიის უკეთ შესწავლას.

მზია ზარნაძე
სსიპ №8 საჯარო სკოლის პედაგოგი

ვადიდოთ ენა ქართული

„ქართული ენა – ეს არის მუსიკა, არა მიწიერი, არამედ ზეციდან გარდამოსული სულიერი მუსიკა!
ესაა ჩვენი ერისა და ქვეყნის გადამრჩენი.“

ილია II

ქართველი კაცისთვის ცხოვრების უმთავრესი არსი დასაბამიდან იყო ენა, მამული, სარწმუნოება. ენა განძია ერისა, რომელსაც საკუთარი თავივით მართებს მოვლა-გაფრთხილება, შენახვა და დაცვა მომხვდურთაგან. „რა ენა წახდეს...“ – ვიცით და გვსმენია დამაფიქრებელი, უფრო კი გამაფრთხილებელი ჩაგონება. თავგადაკლულები ვიცავთ უძველესსა და ულამაზესს, დედასავით სანუკვარსა და უსაყვარლესს, უმშვენიერესსა და ტკბილხმოვანს, უმდიდრეს ენას ქართულს, თავს ვწირავთ, სიცოცხლეს ვანაცვალებთ მის შენარჩუნებას და დაფარვას. ვიცით ქართველებმა ჩვენი ენის ძალა და ფასი, მისი დანიშნულება და ღონე, რადგან მამულთან და სარწმუნოებასთან ერთად, არნახული შემოტევებისაგან გადარჩენილებსა და თავდახსნილებს, დღესაც, ქართულად გვალაპარაკებს და განა მარტო ჩვენ, ბევრ ქვეყანაში გულით სწადიათ მისი დაუფლება, პატივს სცემენ და უყვართ ენა ქართული სხვა ეროვნების ადამიანებს.

მსოფლიოში, დაახლოებით, სამი ათასი ენაა, ანბანი კი მხოლოდ 14. მათ შორის ერთ-ერთი უძველესთაგანია ქართული. საუკუნეების შემოტევას გადაურჩა ენა ქართული, გაუძლო ოსმალთა და სპარსთა, არაბთა, მონღოლთა და სხვათა გაუსაძლის დაწოლას. სარწმუნოებასა და მამულთან ერთად, ენაც შეინარჩუნეს ქართველებმა, თუმცა მისი გადარჩენა ლამის საბოლოო გაჩანაგებად დაუჯდა ერს და მაინც შეუდრეკელი სული, დაუმორჩილებელი გენი ქართველებისა კვლავაც მზად არის, სიცოცხლის გაღების ფასად, მის დასაცავად.

ჩვენ შევძელით მშობლიურ ენაზე მეტყველება, სწავლა. ქართულმა ეკლესიამ დაიბრუნა დამოუკიდებლობა. ტაძრებსა და მონასტრებში კვლავაც ქართულად აღევლინება წირვა-ლოცვა, ქართული საგალობლებით მშვიდდება მრევლი.

საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა კირიონ მეორემ ასე უქადაგა ქართველებს მშობლიური ენის შესახებ: *„დედა ენა არის უფლის კურთხევით, ჩვენ წინაპართაგან აღშენებული, უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი. დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენა ფრიად ძნელი. მხოლოდ იმ ერს აქვს უფლება ისტორიულ ასპარეზზედ ცხოვრებისა და მოქმედებისა, რომელიც მუდამ იცავს თავის ენას, ზნეს და ჩვევას.“*

მოვუაროთ და გავუფრთხილდეთ, დავიცვათ ენა ჩვენი მშობლიური. გავწმინდოთ და უწინდელი მშვენება დავუბრუნოთ, ვილაპარაკოთ უძველესი, ღვთით კურთხეული, დალოცვილი, ულამაზესი, უბრწყინვალესი ენით ქართულით – იაკობის, დავითის, თამარის, საბას, შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, კონსტანტინეს ძარღვიანი ქართულით. ქართული მარტო ენაა?! ღმერთი! ბედისწერაა! ზღვა როა, იმოდენაა!.

აფხაზეთის ა/რ მთავრობის სამშვიდობო ინიციატივების ფარგლებში, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის საგანმანათლებლო სამსახურმა და აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითმა კავშირმა, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის მხარდაჭერით, განახორციელა სასწავლო-საგანმანათლებლო შემოქმედებითი პროექტი „ვადიდოთ ენა ქართული“, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთისა და აზერბაიჯანულენოვანი საჯარო სკოლების მოსწავლეები, სტუდენტები, პედაგოგები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. პროექტის ფარგლებში, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

– „ჩვენ, იაკობი და დედაენა“ – იაკობ გოგებაშვილის მოთხრობების მიხედვით შექმნილი ნახატების გამოფენა;

– პროექტში ჩართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა გამოსვლები;

– ქართული ენის სიწმინდისათვის მომავალი თაობების აქტივიზაცია;

– შეგროვდა გამონათქვამები დედაენაზე;

– მოძრავი ექსპოზიცია „მამული, ენა, სარწმუნოება“, ილია ჭავჭავაძე – 21-ე საუკუნის ადამიანი;

– „ენა დედაა ერისა“ – ლიტერატურული კომპოზიცია, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის №2 და №3 საჯარო და მათთან დამეგობრებული მარნეულის რაიონის ზემო სალარისა და დამაი-გეორარხის აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეები;

– დედაენის შექმნის ისტორია – აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი;

– ხელნაწერთა ინსტიტუტი – „დედა ენის კვალდაკვალ“ – პრაქტიკული მეცადინეობა;

– ვადიდოთ ენა ქართული – ზეიმი დედაენის ძეგლთან;

– სასწავლო-საგანმანათლებლო შემოქმედებითი კონფერენცია „მამული, ენა, სარწმუნოება“ – ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი.

აღნიშნულმა პროექტმა ხელი შეუწყო ჩვენი მოზარდების შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას, მათ ინტეგრაციას ადგილობრივ სოციუმთან. მისი მიზანი იყო აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიური ჩართულობა სამშვიდობო ინიციატივებში, იმის გაცნობიერება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენას ქვეყნისა და ერის განვითარების საქმეში.

პროექტის ძირითადი პოზიტივია – მომავალმა თაობამ გაითვალისწინოს დიდი ილიას სიტყვები: „მამული, ენა, სარწმუნოება“, მისდიოს წინაპართა მიერ გაკვალულ გზას, რომელიც გაამთლიანებს და გააძლიერებს ჩვენს ქვეყანას.

ზეიმი გახსნა და შეკრებილებს ქართული ენის დღე მიულოცა აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენელმა **შერმადინ შარიამ.**

„საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც ძეგლი დაუდგა დედაენას“ – განაცხადა მან და კმაყოფილება გამოთქვა იაკობ გოგებაშვილის „დედაენისათვის“ ძეგლის სტატუსის მინიჭების, მისი დაცულობისა და სკოლებში პირვანდელი სახით დაბრუნების გამო.

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის საგანმანათლებლო სამსახურის უფროსმა **ნანა სახვაძემ** და დირექტორის მოადგილემ **თამარ კობახიძემ** ისაუბრეს ქართული ენის უძველეს წარმომავლობაზე, 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებსა და „დედაენის დღის“ დაწესების მიზეზებზე.

საპატიო სტუმარმა, იაკობ გოგებაშვილის შთამომავალმა, ქალბატონმა **ლილი გოგებაშვილმა** დედაენისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაუკითხა პროექტის მონაწილეებს. მარნეულის რაიონის ზემო სარალისა და დამაი-გეორარხის აზერბაიჯანული საჯარო სკოლების პედაგოგებმა – **ნათია გოგიაშვილმა** და **თემურ შალამბერიძემ** – დიდი ყურადღება დაუთმეს აფხაზეთიდან დევნილი საჯარო სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობის დამეგობრებას აზერბაიჯანული სკოლების ბენეფიციარებთან და იმ ძირითად პოზიტივებზე გააკეთეს აქცენტი, რომელიც თან სდევს სხვადასხვა ეროვნების მოზარდების ერთობლივ ჩართულობას მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისას.

დედაენაზე ლექსები წაიკითხეს აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმა“ წევრებმა: **მზიკა ქანთარიამ, მახო კაცელაშვილმა, ამირან მაისურაძემ, მარიამ მაისურაძემ, ელენე კოპალიანმა, საბა ანთიამ, ლუკა მახარაშვილმა, გიორგი შელიამ, მარიამ გოგოხიამ** და ქართული ხალხური სიმღერები შეასრულეს.

ლიტერატურული კომპოზიციები – „ღმერთების ენავ ქართულო“, „ენა ერის საუნჯეა“ – წარმოადგინეს აფხაზეთის №2 და №3 საჯარო სკოლების მოსწავლეებმა. ზეიმში აქტიურად ჩაერთვნენ მათთან დამეგობრებული აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეები, რომლებმაც ძალზე საინტერესოდ და შემოქმედებითად წარმოაჩინეს ქართული ენის ძალა და ღირსება, ეგიდით – ენა ძალაა ერისა.

ჩვენ აფხაზეთიდან ვართ, სადაც ოდითგანვე ამაყად ქუხდა სიტყვა ქართული, რომელსაც სამწუხაროდ დღეს დევნიან.

„მიხმობენ ზღვა და ჩემი პალმები,
ბაღში მცინარე იასამნები,
ვერ მოვიშორე დარდი, ცრემლები
ო, აფხაზეთო , შემოგევლები.“

ლექსი „აფხაზეთო ჩემო“ წაიკითხა ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის წევრმა **მარიკა შელიამ**. სსიპ „აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრის“ დირექტორმა **ირმა ირემაძემ** და ჟურნალ „რიწის“ რედაქტორმა **ზაურ კალანდიამ** პროექტის მონაწილეებს საჩუქრები გადასცეს.

საქართველოს გამთლიანების სურვილითა და ერთობლივად შესრულებული საგალობლით „წმინდაო ღმერთო“ დასრულდა ღონისძიება.

ნონა ბერაია

პირველი საერთაშორისო კრივში

18-20 აპრილს, გლდანში მდებარე ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის დარბაზში, გაიმართა პირველი საერთაშორისო ტურნირი კრივში საკრივო კლუბ დკდ-ს თასზე. ქართველების გარდა, მასში მონაწილეობდნენ მოზარდები ყაზახეთიდან, უზბეკეთიდან, რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ეს პირველი შემთხვევაა, როცა საქართველოში საერთაშორისო კრივი დაბრუნდა და უცხოურ ტურნირს ვუმასპინძლეთ, საკმაოდ მაღალ დონეზეც და შეჯიბრებამ სტუმართა მოწონებაც დაიმსახურა. სპორტის მინისტრმა **ტარიელ ხეჩიკაშვილმა** შეჯიბრების სტუმრები სამინისტროში მიიღო დ ქართული სპორტის მუზეუმიც დაათვალიერებინა.

სამდღიანი ბრძოლების შემდეგ, მასპინძლებმა 4 ოქროს მედალი დაისაკუთრეს. ამ ტურნირის შედეგებით დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები, რომელიც ივნისში, უნგრეთში, ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

გოგონებმა წარმატებით იასპარეზეს

მოჭიდავე ქალებმა ძიუდოში უკვე მყარად მოიკიდეს ფეხი, ახლა კი ეს ტენდენცია თავისუფალ ჭიდაობაშიც იწყებს გავრცელებას. ამ დღეებში ქართველმა გოგონებმა წარმატებით იასპარეზეს რუმინეთის საერთაშორისო ტურნირში, სადაც ჭაბუკებში თითო ვერცხლი და ბრინჯაო მოიპოვეს. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის დაფინანსებით, იქ სულ სამი სპორტსმენი წავიდა მწვრთნელ **ოთარ ტლაშაძის** ხელმძღვანელობით და ორმა მედალი მოიპოვა. ტურნირის ვიცე-ჩემპიონი თბილისელი **თამარ ხოჯაშვილი** (52) გახდა, ხოლო მესამე ადგილს გორელი **გულიკო არუთინიანი** (43) დაეუფლა. ახალგაზრდებში კიდევ ერთი გორელი – **ანი ნაზარაშვილიც** (51) გამოვიდა, მაგრამ პირველივე წრეში წააგო და გამოვარდა.

ნახევარფინალში ხოჯაშვილმა ბულგარელ **ვესელა ბრამჩევასთან** ხელი იტკინა, თორემ, ვინ იცის, იქნებ ოქროც მოეპოვებინა, იმდენად ძლიერად ჩაატარა წინასწარი შეხვედრები. მან თურქ **ედა ტკინის**, სულ რაღაც, 40 წამში მოუგო სუფთად, მერე უნგრელ **ერიკა ბოგნარსაც** წმინდად აჯობა – 10:0, თუმცა, ასე სარეკორდო დროში არ მოუგია, ბრამჩევასთან კი 16:10 იმარჯვა. ტკივილის მიუხედავად, ფინალში მაინც გავიდა გერმანელ **სერენა ბოლკესთან** საჭიდაოდ, მაგრამ დამარცხდა.

არუთინიანისთვის ეს პირველი მედალია, ხოჯაშვილმა კი შარშან თურქეთში მოიპოვა ბრინჯაო. რამდენიმე დღეში – 29 აპრილს ისინი სწორედ თურქეთში გაემგზავრებიან მორიგ ტურნირში საჭიდაოდ. სავარაუდოდ, იქ რამდენიმე მოჭიდავე კიდევ დაემატებათ. გოგონები, ივლისში, სტოკჰოლმში გასამართავი ევროპის ჩემპიონატისთვის არჩევენ შემადგენლობას, თუმცა იქ ხოჯაშვილის და არუთინიანის წასვლა აქედანვეა გადაწყვეტილი.

აზერბაიჯანს თასი წაართვეს

ბაქოში მიმდინარეობს, აწ უკვე ტრადიციული, საერთაშორისო ტურნირი „აზერბაიჯანის ფედერაციის თასზე“, რომელიც ასაკობრივ ნაკრებებს – ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის იმართება ბიჭების ორივე საჭიდაო სტილში. შეჯიბრების პირველი დღე ბერძნულ-რომაულ სტილში მოჭიდავე ჭაბუკებს დაეთმო. ჩვენმა ნაკრებმა დიდი წარმატებით იჭიდავა – 12 მედალი მოიპოვეს, აქედან 4 ოქროა, 2 – ვერცხლი და 6 – ბრინჯაო. ჩემპიონები გახდნენ: **გიორგი ჩხიკვაძე** (42), **გიორგი შოთაძე** (54), **ლერი აბულაძე** (58) და **ლუკა ხუციშვილი** (76); ფინალური ორთაბრძოლები კი **ბექა ბეშიძემ** (63) და **საბა ცეცხლაძემ** (100) დათმეს; მესამე ადგილზე **აკაკი ოსიაშვილი** (46), **რამაზ სილაგავა** (50), **ოთარ აბულაძე** (58), **ნიკა ყორშია** (63), **ლევან გოგუა** (69) და **გიორგი ქაცანაშვილი** (85) გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ გოგუამ, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში, თანაგუნდელი **ბექა გურული** დაამარცხა, ქაცანაშვილმა კი – **რობინზონ ესაძე**. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ბრინჯაოსთვის შეხვედრა კიდევ რამდენიმე ჩვენებურმა წააგო: **გიორგი ნოზაძემ** (69), **გიორგი ცოფურაშვილმა** (76) და **ზაზა სილაგაძემ** (100).

საინტერესოა, რომ 58 კილოგრამში კვარცხლბეკზე ხულოელი ძმები ავიდნენ: ლერი აბულაძე ჩემპიონი გახდა, ოთარი კი მესამეზე გავიდა. ლერისგან ასეთი წარმატება არც გვიკვირს, რადგან მას, საქართველოს მასშტაბით, ახალგაზრდებსა და უფროსებშიც კი გამოუჩენია თავი.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ჩემპიონთა კვარტეტიდან სამმა ფინალში მასპინძელს მოუგო. გუნდურ ჩათვლაში ჩვენები მეორეზე გავიდნენ 90 ქულით და მხოლოდ 2-ით ჩამორჩნენ მასპინძლებს.



შეხვედრა ასანიძესთან

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს კეთილმოწყობილი და ექსპონატებით საკმაოდ უხვად დატვირთული მუზეუმი აქვს, რომელიც უკლტრათანამედროვე სტანდარტებითაა აღჭურვილი. მის მესვეურთა სურვილი იმთავითვე ის იყო, რომ მუზეუმით დაეინტერესებინათ ახალი თაობა, მოსწავლეები, სასკოლო დანესებულებები, რათა მათთვის ახლოს გაეცნოთ ქართული სპორტის ისტორია და ამით ხელი შეეწყოთ ცხოვრების ჯანსაღი წესისადმი ინტერესის გაღვივებისთვის. სწორედ ამიტომ გაიღეს სახსრები თანამედროვე სტანდარტების დასამკვიდრებლად და შედეგსაც იმკიან: მუზეუმს, პერიოდულად, სტუმრობენ მოსწავლეები და ახლოს ეცნობიან ჩვენი ქვეყნის სპორტულ წარსულს, რაც ჩვენი ქვეყნის კულტურის შემადგენელი ნაწილია; თან საშუალება აქვთ, წინასწარ დაგეგმონ იქ შეხვედრა რომელიმე სახელოვან სპორტსმენთან – ევროპის, მსოფლიოსა თუ ოლიმპიურ ჩემპიონთან.

ოლიმპიურ მუზეუმს ამ დღეებშიც ჰყავდა სტუმრები – თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სკოლა „ბინულის“ მოსწავლეები, რომლებმაც ძალოსნობაში მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **გიორგი ასანიძესთან** ისურვეს შეხვედრა. მისმა სტუმრობამ დიდი ინტერესი გამოიწვია და მოზარდებმა უამრავი კითხვა დაუსვეს ჩემპიონს, უამრავი დეტალით დაინტერესდნენ როგორც სპორტიდან, ასევე პირადი ცხოვრებიდან. ცხადია, ასანიძე მათ ესაუბრა ცხოვრების ჯანსაღ წესზე, სპორტის როლზე ადამიანის ცხოვრებაში.

მსგავსი შეხვედრები „ოლიმპიურ“ მუზეუმში მომავალშიც გაგრძელდება.



კალათბურთელები – ჩინეთში

საქართველოს 18 და 20 წლამდელ კალათბურთელთა გაერთიანებული ნაკრები ჩინეთში გადის მზადებას, სადაც „ატლასი-2016“ საერთაშორისო ტურნირშიც გამოდის და რამდენიმე ამხანაგური მატჩიც გამართა. სამწუხაროდ, არცთუ წარმატებით, რადგან შეხვედრათა უმეტესობა წააგო. თავდაპირველად, ჩვენებმა მასპინძელ ჩინეთთან დათმეს პაექრობა - 75:88, მერე ლატვიის ახალგაზრდულ ნაკრებთან 60:69 წააგეს, თუმცა ორ დღეში ისევ შეხვდნენ მათ და 72:67 მოუგეს. სამაგიეროდ, აშშ-ს გუნდთან 20-ქულიანი სხვაობით – 70:90 წააგო.

მორბენლები უნგრეთში

მსოფლიოს სასკოლო ოლიმპიადაზე კროსში მონაწილეობის უფლება თბილისის 120-ე საჯარო სკოლის გუნდებმა მოიპოვეს, როცა შარშან ამ სახეობაში მოიგეს სასკოლო ოლიმპიადა. ამ სახეობაში შეჯიბრებები უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ამ დღეებში ტარდება.

მშობლიურმა სკოლამ გუნდები საზეიმო ვითარებაში გააცილა, შეხვედრა მოუწყო დიდი აუდიტორიის წინაშე – ღონისძიებას ბევრი საპატიო სტუმარი ესწრებოდა როგორც რაიონული რესურსცენტრებიდან, ასევე სამინისტროდანაც.

წლეულს ჩვენი გუნდები პირველად მონაწილეობენ მსოფლიო სასკოლო ოლიმპიადაში.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი თავაძემ

მიმდინარეობს ხელმოწერა

მასწავლებლის ბიბლიოთეკა



აუდიტორია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა გავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევა-დისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.

ფასი – 7,30 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
4 ლარი

თემატური პლაკატები

დაწყებითი კლასებისთვის

(42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. ზღვის ბინადრები
12. ტანსაცმელი
13. ხილი
14. ბოსტნეული
15. ჩემი სხეული
16. ფორმები
17. რიცხვები
18. რის შვილს რა ჰქვია
19. მწერები
20. ამინდი
21. მცენარეები
22. საპირისპირო ცნებები
23. ქალაქში
24. სოფელში
25. სპორტის სახეობები
26. ზღაპრის გმირები
27. ჩემი საქართველო
28. ქართული ანბანი
29. ინგლისური ანბანი
30. რომელი საათია

ფასი – 2.90 ლარი

მაღალი კლასებისთვის

(59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ფასი – 4 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

ავტომობილი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ახსნილი და აუხსნელი
ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
უძველესი ადამიანები
მათემატიკა
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი



რა არის რა

აქცია

მთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად.

თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 9 ლარად მიიღებს.

ამინდი

არქიტექტურა

კრიმინალისტიკა

ჯანსაღი კვება

მთები

ოლიმპიური თამაშები

მეკობრეები

ქიმია

ხალხთა დიდი გადასახლება

მეცნიერებები

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

მწერალთა პორტრეტები

(34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით ალმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

1. **ჰორაციუსთა ფიცი,** ჟაკ-ლუი დავიდი
2. **მწყემსთა თაყვანისცემა,** დომენიკო გირლანდაიო
3. **ადელ გლოს-ბაუერის პორტრეტი,** გუსტავ კლიმტი
4. **მენინები,** დიეგო ველასკესი
5. **დელფოსელი სიბილა,** მიქელანჯელო
6. **მხატვრის ბაღი,** კლოდ მონე
7. **უკლები შვილის დაბრუნება,** რემბრანდტი
8. **საძანელა,** ოგიუსტ რენუარი
9. **საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე,** ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მსოფლიო კლასიკოსები

მკვდარი სახლის ჩანაწერები, თეოდორე დოსტოევსკი
ცოლთა სკოლა, ანდრე ჟიდი
გზა ელიტისკენ, ჯონ გრეინი
რჩეული მოთხრობები, ნიკოლოზ გოგოლი
ტალღებზე მორბენალი, ალექსანდრე გრინი
ტკბობა, გაბრიელე დანუნციო
დედაჩემი, ალბერ კამუი
კავკასია, ალექსანდრე დიუმა
ჯონ კიხოტის დაბრუნება, გილბერტ კით ჩესტერტონი
დროის ინსტიტუტი, აჰმედ ჰამდი ტანტინარი
ეფი ბრისტი, თეოდორ ფონტანე
ილელი ვენერა, პროსპერ მერიმე
კავკასიური მოთხრობები, ლევ ტოლსტოი
კვარტერონი, მაინ რიდი
ლორდ ჯიმი, ჯოზეფ კონრადი
მადამ ბოვარი, გუსტავ ფლობერი
სპარსული წერილები, შარლ ლუი დე მონტესკიე
მოუთმენლობა გულისა, შტეფან ცვაიგი
მოწყენილობა, ალბერტო მორავია
ორი რომანი, მიგელ დელიბესი
პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, ვიქტორ ჰიუგო
მოთხრობები, ალექსანდრე პუშკინი
რჩეული მოთხრობები, ჯონ გოლზუორთი
სატანის ელექსირები, ერნსტ ჰოფმანი
საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან, მარგერიტ დიურასი
ძალთა ბედნიერება, ემილ ზოლა
ღამეული გართობა, რაფაელ საბატინი
წითელი და შავი, სტენდალი
ძრელი საბურველი, სომერსეტ მოემი
ჯაშუში, ჯეიმზ კუპერი
ლიხტენშტაინი, ვილჰელმ ჰაუფი
ჰუსარი სახურავზე, ჟან ჟიონო

თითოეულის ფასი – 15 ლარი

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ქართული ენის კრებულები

სერიის ფასი – 17.70ლ

ერთიანი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით. წიგნებში მოცემულია: სახალისო აქტივობები, მარტივი ინსტრუქციები, ასაკისთვის შესაბამისი ენით დაწერილი საბავშვო ტექსტები, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელსა თუ მშობლებს, განუვითარონ ბავშვებს წერის, კითხვისა და მეტყველების უნარ-ჩვევები.

სერიის ფასი – 30.40ლ

წიგნის თარო

მოემზადეთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ Facebook გვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

გაიხსენეთ თეორიული მასალა ამ წიგნის მიხედვით და მოაწყვეთ საატესტატო გამოცდის სიმულაცია სახლში!

კრებულის ფასი – 9.90ლ

წიგნის თარო

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ერთიანი სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.**

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK